

# ანტიდასავლური პროპაგანდა

2020

MDF

unag

USAID
ამერიკელი ხალხისგან

# ანტიდასავლური პროპაგანდა 2020

ავტორები:
თამარ კინწურაშვილი

მკვლევარი:
თინა გოგოლაძე

მონაცემთა დამუშავება:
მარიამ ცუცქირიძე, ნიკა შეყელაძე

მედია მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე,
ხატია ლომიძე, სოფო ჩხაიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDESIGN

ფოტო გარეკანზე: Shutterstock © Zef Art

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ISBN 978-9941-8-3540-7

© 2021, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE

# შესავალი

ანტიდასავლური პროპაგანდის რიგით მეექვსე ყოველწლიური ანგარიში 2020 წლის მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს. დისკურს ანალიზის ნაწილი ტრადიციულ მედიაში გამოვლენილ სხვადასხვა წყაროების ანტიდასავლურ გზავნილებს, ნარატივების სტრუქტურას და დროთა განმავლობაში მათ ცვალებადობას მიმოიხილავს. დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის ნაწილი კი არა მხოლოდ ტრადიციულ, არამედ სოციალურ მედიაში გამოვლენილ მონაცემებს ასახავს, რა დროსაც გამოყენებულია ფეისბუკის ანალიტიკური ხელსაწყო Crowdtangle და „მითების დეტექტორის" ფეისბუკთან ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად მოპოვებული, საქართველოდან დარეპორტებული მონაცემები.

დაკვირვება როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ კლასზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე ხორციელდებოდა.

ანგარიში 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები, მეთოდოლოგია და ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები წყაროების მიხედვით. მეორე ნაწილი მტრული სახელმწიფოს გავლენის სტრატეგიას და ნარატივების სტრუქტურას მიმოიხილავს, ცალკე არის განხილული მცდარი დილემის ტექნიკა და ტერმინოლოგიის მაგალითები, მეხუთე თავი ფაქტების გადამოწმების პლატფორმა „მითების დეტექტორის" ფარგლებში გამოვლენილ დეზინფორმაციასა და მანიპულაციას ეთმობა, ხოლო ბოლო თავი საგარეო გავლენის აქტორებს.

ანალოგიური კვლევა მედიის განვითარების ფონდმა 2014-2019 წლებშიც ჩაატარა. კვლევა საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა" ფარგლებში განხორციელდა.

# მეთოდოლოგია

ანგარიშში გამოყენებეულია კვლევის  შერეული მეთოდოლოგია:

- **კონტენტ-ანალიზი.** ნარატივების და მათი წყაროების იდენტიფიცირება, რაც კონტექსტის გაგების და ტენდენციებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა, ტრადიციული ქართულენოვანი მედიის (ტვ, ბეჭდვითი და ონლაინ გამოცემები) კონტენტ-ანალიზის მეშვეობით ხორციელდება, რა დროსაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების დამუშავება ხდება. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს ანტიდასავლური კომენტარების რაოდენობას თემატიკის მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.
- **ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება და ვერიფიკაცია.** CrowdTangle-ის ანალიტიკური ხელსაწყოს მეშვეობით ხდება ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მათი გადამოწმება და წყაროების შესწავლა. დამატებით ხდება მკითხველის მიერ მოწოდებული ყალბი ინფორმაციის გადამოწმება, რაც სისტემატიური მონიტორინგის ნაცვლად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილ შემთხვევებს და მათ წყაროებს მოიცავს.

**კონტენტ-ანალიზის სუბიექტების შერჩევა.** როგორც მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევა[1] ცხადყოფს, რუსულ მედიას ინფორმაციის წყაროდ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში იყენებენ. იდენტურ დეზინფორმაციულ გზავნილებს კი ქართულენოვანი მედია მომხმარებელი ქართულენოვანი წყაროებით იღებს. სწორედ ამიტომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში მონიტორინგის სუბიექტად ქართულენოვანი მედია საშუალებებია შერჩეული.

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია. დაკვირვება 15 მედია საშუალებაზე ხორციელდებოდა. ტელევიზიების შემთხვევაში პროგრამული ბადის ცვლილებების გამო ზოგიერთი გადაცემა, რომელიც ეთერიდან მოიხსნა, ახალი ანალოგიური ფორმატის გადაცემებით ჩანაცვლდა. მონიტორინგი შემდეგ სუბიექტებზე განხორციელდა:

[1] MDF (2019), „საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება". http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/107

- **4 ტელევიზიის პრაიმ თაიმის ყოველდღიური საინფორმაციო და კვირის ანალიტიკურ გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე, ახალი კვირა), მთავარი (მთავარი საინფორმაციო გამოშვება, შაბათის მთავარი, პოსტ ფაქტუმი), იმედი (ქრონიკა, იმედის კვირა). ობიექტივის საინფორმაციო გამოშვება (ნამდვილი ამბები).
- **5 ტელევიზიის თოქ-შოუ:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (კვირის ინტერვიუ), მთავარი (ღამის მთავარი), იმედი (არენა, ღია ეთერი)[2], ობიექტივი (ღამის სტუდია; ბაკურ სვანიძის „ძაანპოლიტიკა"[3]), კავკასია (ბარიერი, სპექტრი).
- **6 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, მარშალპრესი.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, კვირის პალიტრა, ასავალ-დასავალი, ალია.

**ყალბი ინფორმაცია იდენტიფიცირება და ვერიფიკაცია.** CrowdTangle-ის ანალიტიკურ ხელსაწყოში დაკვირვება ანტილიბერალურ, კრემლისტურ და ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ფეისბუკ გვერდებსა და ჯგუფებზე ხდება. ბაზაში არსებული გვერდების განახლება პერიოდულად ხორციელდება. გამოვლენილი ყალბი ან მანიპულაციური შინაარსის ვერიფიკაცია მედიის განვითარების ფონდის ფაქტების გადამოწმების პორტალის „მითების დეტექტორის" მეთოდოლოგიის საფუძველზე ხდება, რომელიც 4 ეტაპს მოიცავს:

1. შერჩევა
2. ფაქტების გადამოწმება
3. შეფასება
4. წყაროს შესახებ ინფორმაციის მოძიება

გადამოწმება ღია წყაროებზე დაყრდნობით და შესაბამისი ინსტრუმენტებით (OSINET) ხდება, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია „მითების დეტექტორის" ვებ-გვერდზეა განთავსებული[4].

[2] აპრილის თვის განმავლობაში იმედის საინფორმაციო ბადეში თოქ-შოუ არენა, ღია ეთერმა ჩაანცვლა, რა დროსაც აღნიშნული თოქ შოუ მონიტორინგის სუბიექტი იყო, მოგვიანებით საინფორმაციო ბადეში კვლავ თოქ შოუ არენა დაბრუნდა.

[3] ბაკურ სვანიძის გადაცემა „ძაანპოლიტიკა" პოლიტიკური სატირის ფორმატში მიმდინარე მოვლენებს განიხილავდა

[4] მითების დეტექტორი, მეთოდოლოგია, http://mythdetector.ge/ka/page/metodologia

# სარჩევი


მთავარი მიგნებები 8

1. ერთიანი მონაცემები 11
2. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები 22
   - მედია 22
   - პარტიები / პოლიტიკოსები 24
   - საზოგადოებრივი ორგანიზაციები 25
   - სასულიერო პირები 26
3. გავლენის სტრატეგიები და ნარატივების სტრუქტურა 27
   - I. შიშების დათესვა 31
     - 1.1. რუსეთის პროვოცირების, ომის განახლების და არასტაბილურობის შიში 31
     - 1.2. ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიში 34
     - 1.3. ბიოლოგიური დივერსიისა და გლობალური კონტროლის შიში 35
     - 1.4. იდენტობის დაკარგვის შიში 36
   - II. უიმედობის და სკეპტიციზმის დანერგვა 39
     - 2.1. დასავლეთი სამხედრო საფრთხეებისგან ვერ დაგვიცავს 39
     - 2.2. დასავლეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ვერ დაიცავს 39
     - 2.3. დასავლეთი პანდემიის საფრთხისგან ვერ დაგვიცავს 40
     - 2.4. ლიბერალური წესრიგი მარცხს განიცდის 40
     - 2.5. დემოკრატია/სუვერენიტეტი ფიქციაა 41
     - 2.6. ასოცირების ხელშეკრულება/ევროკავშირი უსარგებლოა 42
   - III. რუსეთი, როგორც დასავლეთის ალტერნატივა 42
     - 3.1. ნეიტრალიტეტი საქართველო-რუსეთს შორის წინააღმდეგობებს მოხსნის 42
     - 3.2. მეზობელი ქვეყნებისგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია 43
     - 3.3. აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ რუსეთთან პირდაპირი დიალოგითაა შესაძლებელი 43
     - 3.4. პანდემიისგან ხსნა ავტორიტარულ ქვეყნებს/საბჭოთა მედიცინას ძალუძს 44
     - 3.5. რუსეთი მესამე რომია, რომელიც დასავლეთის მორალური ოკუპაციისგან გვიცავს 44
     - 3.6. საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად სტაბილური და სოციალურად დაცული სისტემა იყო 44
     - 3.7. საქათველო ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსულ ბაზარზე 45
4. მცდარი დილემის ტექნიკა და ტერმინოლოგია 46
5. დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი 48
6. საგარეო გავლენის აქტორები 53

# დიაგრამები


დიაგრამა 1. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 2016-2020 წლებში 12
დიაგრამა 2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა, 2020 13
დიაგრამა 3. გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით, 2020 15
დიაგრამა 4. გზავნილები დასავლეთთან დაკავშირებით, 2020 17
დიაგრამა 5. გზავნილები იდენტობასთან დაკავშირებით, 2020 17
დიაგრამა 6. გზავნილები რუსეთთან, ავტორიტარულ სისტემებთან დაკავშირებით, 2020 19
დიაგრამა 7. გზავნილები NATO-სთან დაკავშირებით, 2020 20
დიაგრამა 8. გზავნილები ევროკავშირთან დაკავშირებით, 2020 21
დიაგრამა 9. გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოროსთან დაკავშირებით, 2020 21
დიაგრამა 10. ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით, 2020 22
დიაგრამა 11. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით, 2020 23
დიაგრამა 12. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით, 2020 23
დიაგრამა 13. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები პოლიტიკოსების მიხედვით, 2020 24
დიაგრამა 14. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკოსების მიხედვით, 2020 25
დიაგრამა 15. ინფორმაციული გავლენის სტრატეგიები 28
დიაგრამა 16. რელიგიურ/ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები 47
დიაგრამა 17. დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის თემატიკა 49
დიაგრამა 18. რუსული წყაროები 59
დანართი. საგარეო გავლენის აქტორები 62

# მთავარი მიგნებები

გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- 2020 წლის მედია მონიტორინგმა ანტიდასავლური გზავნილების მზარდი ტენდიცია გამოავლინა, სადაც ყველაზე მაღალი წილი ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც მოსდევს ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გზავნილები.

## ამერიკა

- ამერიკასთან მიმართებით გზავნილების მატება ნაწილობრივ ამერიკაში მიმდინარე შიდა პროცესებს და არჩევნებში ტრამპის დამარცხებას უკავშირდებოდა, ასევე საქართველოში მიმდინარე არჩევნების კონტექსტში ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების (NDI-IRI) წინააღმდეგ კრემლისტური პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ინიცირებულ დისკრედიტაციის კამპანიას.
- ამერიკის შიდა პროცესებთან დაკავშირებით გამოიკვეთა 3 ახალი გზავნილი: 1) ამერიკა გაყოფილია/არჩევნები გაყალბდა/ამერიკას არ აქვს მორალური უფლება სხვას ჭკუა ასწავლოს; 2) ამერიკაში სისტემური რასიზმია; 3) ამერიკა კორუმპირებულია.

## ნატო

- ამერიკისგან განსხვავებით, ნატოს წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები თითქმის განახევრებულია, რაც ინტეგრაციის მიმართულებით ინიციატივების არარსებობას უკავშირდებოდა.
- ნატოსთან მიმართებით ორი ახალი ნარატივი გამოიკვეთა: 1) პანდემიის გამო ნატო უფუნქციოა/ნატო=ინფიცირების საფრთხეს, 2) ყარაბაღის კონფლიქტი ნატოს უსაფრთხოებას ცვლის.

## ევროკავშირი

- ახალი გზავნილი ევროკავშირთან მიმართებითაც კორონავირუსის პანდემიას უკავშირდებოდა, რა დროსაც მკვიდრდებოდა აზრი, რომ პანდემია ევროკავშირის ერთიანობას საფრთხეს უქმნიდა, რადგან ევროკავშირმა წევრი ქვეყნების მიმართ სოლიდარობა ვერ გამოიჩინა და მათ დახმარება ვერ გაუწია.
- ამასთანავე 2020 წელს გაზრდილია გზავნილები, რომლებიც საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულების უსარგებლობაზე აკთებენ აქცენტს (33).

## დასავლეთი

- დასავლეთთან მიმართებით შემდეგი გზავნილები გამოიკვეთა: დასავლეთს გლობალური კონტრო-ლის/ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება სურს; ლიბერალური წესრიგი მარცხდება; დასავლეთი ისტორიის რევიზიას ცდილობს/თანამშრომლობდა ჰიტლერთან; დასავლეთი არ არის სოლიდარული/ვერ გაუმკლავდა პანდემიას.

## რუსეთი

- ბოლო 5 წლის დინამიკის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ რუსეთის, როგორც ალტერნატივო ძალის, ასევე ავტორიტარული მმართველობის მხარდამჭერი განცხადებები ეტაპობრივად გაზრდილია.
- ორი ახალი გზავნილი, რომელიც 2020 წელს რუსეთის თემატიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა, ერთი მხრივ, საქართველოს შიდა საარჩევნო პროცესს, მეორე მხრივ, თურქეთ-აზერბაიჯანის „საფრთხის" შეკავე-ბას, ასევე ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის როლს უკავშირდებოდა: 1) ბრალდე-ბები რუსეთის საქართველოს არჩევნებში ჩარევაზე დაუსაბუთებელია; 2) თურქეთის შეკავება/კავკასი-აში კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ რუსეთს შეუძლია

## იდენტობა

- იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან და ღირებულებით დისკურსთან დაკავშირებული გზავნილები მცირედით შემცირებულია, თუმცა ზოგადად ანტილიბერალური დისკურსი გამჭოლ თემად თითქმის ყველა მიმართულებით ფიგურირებს.
- ძველ გზავნილებთან ერთად, რომ დასავლეთი ჰომოსექსუალობას, პედოფილიასა და გარყვნილი ცხოვრების წესს თავს გვახვევს და ებრძვის ტრადიციულ იდენტობას/ეკლესიას, ახალი გზავნილი ამკ-ვიდრებდა მოსაზრებას, რომ ამერიკის არჩევნებში ბაიდენის გამარჯვება ლგბტ დღის წესრიგის კიდევ უფრო გააქტიურებას შეუწყობდა ხელს.

## სოროსი / არასამთავრობოები

- დამოკიდებულებები ამერიკელი ფილანტროპისა და ფონდ ღია საზოგადოების დამფუძნებლის ჯორჯ სოროსის, ასევე არასამთავრობოების მიმართ ანტიდასავლურ მედიაში არ შეცვლილა. 2020 წელს დომი-რებდა გზავნილი, რომ სოროსი ებრძვის ტრადიციულ იდენტობას, ახალისებს ნარკომანიას, ახალისებს გადატრიალებებს, მათ შორის ამერიკაში და აფინანსებს ანტიფას, საქართველოს შიდა საქმეებში ერევა.

## გავლენის სტრატეგიები და ნარატივის სტრუქტურა

- წინა წლებისგან განსხვავებით, 2020 წელს კრემლი და მასთან დაკავშირებული აქტორები თავდასხ-მით სტრატეგიასთან ერთად თავდაცვით კომუნიკაციაზე გადავიდნენ, რაც თავის მხრივ, დასავლეთის მხრიდან რუსეთის ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირების შედეგია.
- თავდაცვითი კომუნიკაცია, ერთი მხრივ, საქართველოს არჩევნებში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირე-ბით გაკეთებული განცხადებების შემთხვევაში გამოვლინდა, მეორე მხრივ, ევროპარლამენტის რეზო-ლუციასთან მიმართებით, რომელიც სსრკ-სა და ნაცისტური გერმანიის თანამშრომლობას შეეხებოდა.
- ანტიდასავლური გზავნილების ნარატივების სტრუქტურა, წინა წლების მსგავსად, კვლავ 3 საფეხურიანი იყო და 1) შიშების კულტივირებას, 2) უიმედობისა და სკეპტიციზმის დანერგვას და 3) ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთის დასავლეთის ალტერნატივად დასახვას ახდენდა.

- წინა წლების მსგავსად ანტიდასავლური პროპაგანდა 4 შიშის ინსტრუმენტალიზაციას ახდენდა: 1) რუსეთის პროვოცირების, ომის განახლების და არასტაბილურობის შიში; 2) ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიში; 3) ბიოლოგიური დივერსიისა და გლობალური კონტროლის შიში; 4) იდენტობის დაკარგვის და ასიმლაციის შიში.

## შიშების კულტივირება

- ძველი გზავნილების გარდა, რომ 2008 წლის ომი რეალურად ამერიკის პროვოცირებულია და დასავლეთი არ არის დაინტერესებული რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზებით, 2020 წელს, დამატებით საქართველოს და მთლიანად რეგიონის კონფლიქტში ჩათრევასთან დაკავშირებული განცხადებები უფრო მეტად აქტუალური ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლების გამო გახდა.
- ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიში ისევ ნატოში ინტეგრაციასთან იყო დაკავშირებული და ნატოში დაჩქარებული წესით საქართველოს ინტეგრირების ინიციატივის მანიპულაციურ ინტერპრეტაციას, ასევე თურქეთის ჯარის საქართველოში ინტერვენციის შესახებ კონსპირაციას უკავშირდებოდა.
- ბიოლოგიური დივერსიისა და გლობალური კონტროლის შიში ლუგარის ლაბორატორიის შესახებ ტრადიციული გზავნილების გარდა, 2020 წელს კორონავირუსის ხელოვნური წარმომავლობის და გლობალური კონტროლის დამყარების შესახებ ახალ გზავნილებს უკავშირდებოდა.
- მართალია, კათოლიციზმის მართლმადიდებლობასთან შეუთავსებლობა ანტიდასავლური დისკურსის შემადგენელი წინა წლებშიც იყო, თუმცა 2020 წელს რომის პაპის ფრანცისკეს განცხადებას, რომ ჰომოსექსუალ წყვილებს სამოქალაქო კავშირში ყოფნის უფლება კანონმდებლობით უნდა მიეცეთ, ანტიკათოლიკური გზავნილების მატება მოჰყვა.

## უიმედობის და სკეპტიციზმის დანერგვა

- გამოიკვეთა 6 გზავნილი, რომელიც დასავლეთის მიმართ სკეპტიციზმის დანერგვას უწყობდა ხელს: 1. დასავლეთი სამხედრო საფრთხეებისგან ვერ დაგვიცავს; 2. დასავლეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ვერ დაიცავს; 3. დასავლეთი პანდემიისგან ვერ დაგვიცავს; 4. ლიბერალური წესრიგი მარცხს განიცდის; 5. დემოკრატია/სუვერენიტეტი ფიქციაა; 6. ასოცირების ხელშეკრულება/ევროკავშირი უსარგებლოა.
- 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ მიერ საქართველო-აზერბაიჯანის სადავო მონაკვეთზე მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით წამოწყებულმა კამპანიამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა კრემლისტური და ანტილიბერალური ჯგუფებისთვის, ისტორიული ოკუპაციის კონტექსტში თურქეთთან ერთად აზერბაიჯანიც განეხილათ და რუსეთის ამჟამინდელი ოკუპაციიდან ისრები ისტორიულ მტრობაზე გადაეტანათ. ამასთანავე, აქცენტი გაეკეთებინათ იმაზე, რომ სტრატეგიული პარტნიორები აზერბაიჯანის და თურქეთის საფრთხისგან არ გვიცავენ და ერთადერთი ძალა, რომელსაც ამ საფრთხის შეკავება შეუძლია, რუსეთია.

## რუსეთი, როგორც დასავლეთის ალტერნატივა

- რუსეთის, როგორც დასავლეთის ალტერნატივის წარმოჩენისას აქცენტი 6 გზავნილზე კეთდებოდა: 1) ნეიტრალიტეტი საქართველო-რუსეთს შორის წინააღმდეგობებს მოხსნის; 2) მეზობელი ქვეყნებისგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია, ისევე როგორც აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება პირდაპირი დიალოგის გზით; 3) პანდემიისგან ხსნა ავტორიტარულ ქვეყნებს/საბჭოთა მედიცინას ძალუძს; 4) რუსეთი მესამე რომია, რომელიც დასავლეთის მორალური ოკუპაციისგან გვიცავს; 5. საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად სტაბილური და სოციალურად დაცული სისტემა იყო; 6). საქართველო ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსულ ბაზარზე.

# 1. ერთიანი მონაცემები

2019 წლის მსგავსად, 2020 წლის მედია მონიტორინგმა ანტიდასავლური გზავნილების მზარდი ტენდენცია გამოავლინა. ანგარიშში სულ 3545 ასეთი კომენტარია გაანალიზებული, რაც ბოლო 5 წელიწადში თითქმის გასამმაგებული მონაცემია (2016 წელი: 1258). ბოლო სამი წლის მსგავსად, ანტიამერიკული გზავნილები 2020 წელსაც დომინირებდა (1102) და 2019 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგებულია (2019 წელი: 617). მზარდი ტენდენცია ნაწილობრივ ამერიკაში მიმდინარე შიდა პროცესებს და არჩევნებში ტრამპის დამარცხებას უკავშირდებოდა, ასევე საქართველოში მიმდინარე არჩევნების კონტექსტში ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების (NDI-IRI) წინააღმდეგ კრემლისტური პარტია „პატრიოტთა ალიანსის" მიერ ინიცირებულ დისკრედიტაციის კამპანიას.

2019 წელთან შედარებით ასევე თითქმის გაორმაგებულია დასავლეთის[5] წინააღმდეგ გაკეთებული შეფასებებიც (2020 წელი: 978; 2019 წელი: 467). მცირე ზრდა შეინიშნება ევროკავშირის/ევროპის (2020 წელი: 183; 2019 წელი: 150), ასევე არასამთავრობოებისა და ფილანტროპ ჯორჯ სოროსის (2020 წელი: 131; 2019 წელი: 113) წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარების მხრივ.

იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან და ღირებულებით დისკურსთან დაკავშირებული გზავნილები მცირედით შემცირებულია (2020 წელი: 485; 2019 წელი: 587), თუმცა ზოგადად ანტილიბერალური დისკურსი გამჭოლ თემად თითქმის ყველა მიმართულებით ფიგურირებს. ნატოს წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები კი თითქმის განახევრებულია (2020 წელი: 272; 2019 წელი: 566). 5 წლის მონაცემების ჭრილში ნატოს წინააღმდეგ ყველაზე აქტიური ფაზა 2019 წელს იყო, რაც პატრიოტთა ალიანსის მიერ ნეიტრალიტეტის თაობაზე წამოწყებულ აქტიურ კამპანიას და საქართველოს ნატოში დაჩქარებული წესით ინტეგრირების ინიციატივას უკავშირდებოდა, რაც 2020 წელს დღის წესრიგში აღარ დამდგარა.

ბოლო 5 წლის დინამიკის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ რუსეთის, როგორც უალტერნატივო ძალის, ასევე ავტორიტარული მმართველობის მხარდამჭერი განცხადებები ეტაპობრივად გაზრდილია (2020 წელი: 394, 2017 წელი: 142).

[5] ამ კატეგორიაში მოხვდა გზავნილები, რომლებიც ერთდროულად როგორც ამერიკას, ასევე ევროპას და საერთაშორისო ინსტიტუტებს შეეხება; ასევე შემთხვევები, როცა დასავლეთი როგორც ერთიან გეოპოლიტიკურ და ღირებულებით სივრცედ განიხილება.

## დიაგრამა 1. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 2016-2020 წლებში




| თემატიკა | 2020 | 2019 | 2018 | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა | 1102 | 617 | 632 | 510 | 170 |
| დასავლეთი | 978 | 467 | 340 | 277 | 251 |
| იდენტობა | 485 | 587 | 505 | 253 | 411 |
| Nato | 272 | 566 | 390 | 362 | 253 |
| რუსეთის უალტერნატივობა / ავტორიტარული მმართველობის იდეალიზება | 394 | 269 | 171 | 142 | |
| ევროკავშირი / ევროპა | 183 | 150 | 152 | 264 | 112 |
| NGO / ჯორჯ სოროსი | 131 | 113 | 146 | 144 | 61 |
| დიდი ბრიტანეთი | | | 56 | 19 | |
| სულ | 3545 | 2769 | 2392 | 1971 | 1258 |

როგორც დიაგრამა 2-ზე ჩანს, 2020 წელს ანტიამერიკული (31,1%) და დასავლეთის (27,6%), როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური და ღირებულებითი სივრცის, წინააღმდეგ კომენტარების ხვედრით წილს შორის მცირედი სხვაობაა. იდენტობის დაკარგვის შიშებთან დაკავშირებული გზავნილების წილი წინა წელთან შედარებით შემცირებულია (13,7%), ყველაზე დაბალი ხვედრითი წილი კი ისევ ჯორჯ სოროსისა და არასამთავრობოების წინააღმდეგ გაკეთებულ კომენტარებს აქვს (3,6%).

## დიაგრამა 2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა, 2020




**ამერიკა.** როგორც აღინიშნა, 2020 წელს ანტიამერიკული გზავნილების ზრდა ამერიკის შიდა პოლიტიკურ პროცესებს, მათ შორის საარჩევნო ციკლს უკავშირდებოდა, ასევე საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს და ამ კონტექსტში ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების (NDI-IRI) წინააღმდეგ კრემლისტური პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წარმართულ დისკრედიტაციულ კამპანიას.

ამერიკის შიდა პროცესებთან დაკავშირებით გამოიკვეთა 3 ახალი გზავნილი:

- **ამერიკა გაყოფილია / არჩევნები გაყალბდა / ამერიკას არ აქვს მორალური უფლება სხვას ჭკუა ასწავლოს (142):** ახალი გზავნილი ამერიკაში შიდა პოლიტიკური ვითარების მკვეთრ პოლარიზაციაზე, დემოკრატიის ეროზიასა და ტრამპისთვის არჩევნების გაყალბებაზე ახდენდა ფოკუსირებას, რის გამოც სხვადასხვა აქტორი ავითარებდა მოსაზრებას, რომ ამერიკას არ ჰქონდა მორალური უფლება, სხვა ქვეყნებისთვის დემოკრატიის ერთგულებისკენ მოეწოდებინა;
- **ამერიკაში სისტემური რასიზმია (31):** მინეაპოლისში აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის პოლიციელის მხრიდან ძალადობის გამო გარდაცვალებას და მასშტაბურ საპროტესტო აქციებს ამერიკაში სისტემური რასიზმის არსებობის შესახებ გზავნილები მოჰყვა;
- **ამერიკა კორუმპირებულია (20):** ლობიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში კორუფციად იყო წარმოჩენილი და საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ამერიკელი პოლიტიკოსების თუ სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ გაკეთებულ კრიტიკულ შეფასებებს უკავშირდებოდა, რაც ზოგადად დემოკრატიული პროცესისადმი სკეპტიციზმის დანერგვას უწყობდა ხელს.

მართალია, ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების (NDI-IRI) წინააღმდეგ გზავნილები წინა წლებშიც ვრცელდებოდა, თუმცა შედარებით მცირედი რაოდენობით და ისინი ამერიკის მიერ შიდა პროცესებში ჩარევის კატეგორიაში იყო გაერთიანებული. 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების წინ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) წინააღმდეგ განცხადებებმა კამპანიური ხასიათი მიიღო, რის გამოც ეს გზავნილი ცალკე გამოვყავით. აღნიშნული კამპანია კრემლისტური პარტია „პატრიოტთა ალიანსისა“ და მასთან დაკავშირებული ტელეკომპანია „ობიექტივის“ მიერ იყო ინიცირებული. ამ კამპანიას წინ 2019 წელს „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის განცხადება უსწრებდა, რომელმაც 2019 წლის ბოლოს ამერიკული ინსტიტუტების (NDI-IRI) მიმართ ნდობის დაკარგვა სტრატეგიული პარტნიორის ინსტიტუტების დევალვაციად და აშშ-ს ინტერესებისთვის ზიანის მომტანად შეაფასა[6].

ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების წინააღმდეგ კამპანია, რომელიც მეტწილად ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტს მიემართებოდა, შემდეგ გზავნილებს მოიცავდა:

- **NDI-IRI-ის კვლევები არასანდოა (156):** პატრიოტთა ალიანსის ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ გაყალბებული კვლევები უსაფრთხოების პრობლემაა, რადგან ქვეყნის შიდა საქმეებში ინტერვენციას ახდენს, რის გამოც ორგანიზაციის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო, მათი კორუფციული ინტერესები გამოძიებული ყოფილიყო, ხოლო თავად NDI-IRI აკრძალულიყო;
- **NDI-IRI-ი ებრძვიან ეკლესიას (19):** გზავნილს, რომ კვლევებში ეკლესიის მიმართ ნდობის შემცირება ქართულ იდენტობასთან ბრძოლას ისახავს მიზნად, მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსის“ (13) და მასთან დაკავშირებული ტვ „ობიექტივის“ (6) შემთხვევაში ვხვდებით. აღნიშნული გზავნილი საერთო რაოდენობრივ მონაცემებში იდენტობის დაკარგვის საფრთხეებშია გაერთიანებული.

ძველი გზავნილებიდან კვლავ დომინირებდა მოსაზრება ამერიკის მიერ  საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის და შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ, რაც წინა წელთან შედარებით (2019: 166) გაორმაგებული (324) მონაცემია.

როგორც დიაგრამა 3-ზე ჩანს, სხვა გზავნილები მეტწილად წინა წლის იდენტურია და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- **ამერიკა კონფლიქტების, ძალადობის, ტერორიზმის, სახელმწიფო გადატრიალებების ინსპირატორია (134);**
- **ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად იყენებს/ქვეყნის კონფლიქტებში ჩათრევას ცდილობს (47):** გარდა ძველი გზავნილისა, რომ კონფლიქტის მიზეზი რუსეთის აგრესიის ნაცვლად ამერიკის მიერ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებაა, მკვიდრდებოდა აზრი, რომ ამერიკა საქართველოს ყარაბაღის კონფლიქტში ჩათრევასაც ცდილობდა;
- **ამერიკა გავლენას კარგავს (44);**
- **ახალისებს ბიოდივერსიას (33);**
- **არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებით (30);**
- **არასანდო პარტნიორია / არათანასწორად განგვიხილავს (28);**
- **ხელს არ უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (26);**

[6] ნეტგაზეთი, 28 ნოემბერი. რაზე მიანიშნა ივანიშვილმა აშშ-ს? https://netgazeti.ge/news/410102/

- **ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს (26);**
- **ვერ დაგვიცავს ამერიკული ჯაველინები უსარგებლოა (26);**
- **ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო (18):** აღნიშნული გზავნილი წინა წლების მსგავსად მეტწილად ამერიკელი სენატორის ჯონ მაკეინის საპრეზიდენტო კამპანიის მიზნებს უკავშირდებოდა.
- **ანაკლია სამხედრო პროექტი არ არის (11):** გზავნილს, რომ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ფიქციაა და რეალურად ამ ეკონომიკურ ინიციატივას სამხედრო განზომილება აქვს, მეტწილად ამერიკის სრატეგიულ ინტერესებს უკავშირებდნენ, რომელიც რუსეთის დღის წესრიგთან იყო კონფლიქტში.

### დიაგრამა 3. გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით, 2020




**დასავლეთი.** ამერიკის მსგავსად, დასავლეთის შემთხვევაშიც, რომელიც ერთდროულად ევროკავშირს, ამერიკას და საერთაშორისო დასავლურ ინსტიტუტებს აერთიანებს, წინა წელთან შედარებით გაორმაგებულია გზავნილი, რომელიც ამკვიდრებს აზრს, რომ საქართველოს პარტნიორების მხრიდან ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფა, საშინაო საქმეებში ჩარევა და ქვეყნის მართვა ხდება (2020 წელი: 312; 2019:144). მზარდი ტენდენცია ასევე უკავშირდება წინასაარჩევნო ციკლს და საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დასავლელი პარტნიორების მიერ გაკეთებულ განცხადებებს.

ძველი გზავნილების გარდა, 2020 წელს შემდეგი ახალი ტენდენციები გამოიკვეთა:

- **დასავლეთის გლობალური კონტროლის / ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება სურს (85):** აღნიშნული გზავნილი, რომელსაც კონსპირაციული ხასიათი ჰქონდა, ნაწილობრივ პოლიტიკურ პროცესებს, ნაწილობრივ კორონავირუსის პანდემიასა და ვაქცინაციას უკავშირდებოდა.
- **ლიბერალური წესრიგი მარცხდება (63):** 2019 წელს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ Financial Times-სთან ინტერვიუში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ლიბერალური წესრიგი მოძველდა[7], ქართულენოვან ანტიდასავლურ დისკურსზეც აისახა. აღნიშნული გზავნილი, რომელიც მონიტორინგის სუბიექტ მედიაში პირველად 2019 წელს გაჩნდა (28), 2020 წელს გასსამმაგებულია (2020 წელი 63) და ევროპაში ულტრამემარჯვენე პარტიების მომძლავრებას, ხოლო ამერიკაში დონალდ ტრამპის კონსერვატიულ დღის წესრიგს უკავშირდებოდა.
- **დასავლეთი ისტორიის რევიზიას ცდილობს / თანამშრომლობდა ჰიტლერთან (63):** კიდევ ერთი გზავნილი, რომელმაც აქტუალობა 2020 წელს შეიძინა და მეორე მსოფლიო ომის 75 წლისთავთან დაკავშირებით ამერიკულ ჟურნალ The National Interest-ში გამოქვეყნებულ ვლადიმერ პუტინის სტატიის[8] სულისკვეთებას ეხმიანება, დასავლეთის მიერ ისტორიის გაყალბების მცდელობასა და ჰიტლერთან თანამშრომლობაში დადანაშაულებას შეეხებოდა. ეს ნარატივი, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის პასუხისმგებლობის საკითხის წამოწევის საპასუხოდ გააქტიურდა, რაც სსრკ-სა და ნაცისტურ გერმანიას შორის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის[9] საფუძველზე თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებას და 1939 წელს პოლონეთში ინტერვენციას უკავშირდებოდა.
- **დასავლეთი არ არის სოლიდარული / ვერ გაუმკლავდა პანდემიას (43):** ახალი გზავნილი უკავშირდებოდა კორონავირუსის პანდემიას, რა დროსაც, ერთი მხრივ, დასავლეთის, მათ შორის ევროკავშირის სხვა ქვეყნებისადმი სოლიდარობის ნაკლებობასა და პანდემიასთან გამკლავების უუნარობაში დადანაშაულება ხდებოდა, მეორე მხრივ, საპირწონედ ავტორიტარული ქვეყნების (რუსეთი, ჩინეთი) პოზიტიური როლის წარმოჩენა.

7 Financial Times, 28 June, 2019. Vladimir Putin says liberalism has 'become obsolete' https://www.ft.com/content/670039ec-98f3-11e9-9573-ee5cbb98ed36

8 The National Interest, 18 June, Vladimir Putin: The Real Lessons of the 75th Anniversary of World War II. https://bit.ly/3q2zRSK

9 მითების დეტექტორი, 23 აგვისტო, 2019. დიქტატორების „თაფლობის თვე" – რა უნდა ვიცოდეთ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შესახებ? https://bit.ly/3cPiuj1

## დიაგრამა 4. გზავნილები დასავლეთთან დაკავშირებით, 2020




**იდენტობა / ღირებულებითი დისკურსი.** იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებულ დისკურში კვლავ დასავლეთის მიერ ჰომოსექსუალობის, პედოფილიისა და გარყვნილი ცხოვრების წესის თავსმოხვევის შიშები დომინირებდა (162). ამასთანავე, მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ ამერიკის არჩევნებში ბაიდენის გამარჯვება ლგბტ დღის წესრიგის კიდევ უფრო გააქტიურებას შეუწყობდა ხელს. ნარატივს, რომ დასავლური ღირებულებები შეუთავსებელია ქართულ იდენტობასთან (154), მოსდევს გზავნილები იმის შესახებ, რომ დასავლეთი რელიგიას და მართლმადიდებელ ეკლესიას (112), ასევე ტრადიციულ იდენტობას და ოჯახს ებრძვის (57).

## დიაგრამა 5. გზავნილები იდენტობასთან დაკავშირებით, 2020



**რუსეთის უალტერნატივობა / ავტორიტარული მმართველობის იდეალიზება.** ამ მიმართულებით გაზრდილია გზავნილები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიას აღვივებს (59), რა დროსაც განსაკუთრებული აქცენტი სოციალურად დაცულ სახელმწიფოსა და საბჭოთა კეთილდღეობაზე კეთდება. ზოგადად ავტორიტარული რეჟიმების გამართლება და იდეალიზება, სადაც რუსეთთან ერთად ჩინეთი, ლიბია და სხვა ქვეყნებიც მოიაზრება, საბჭოთა კავშირის იდეალიზებას მცირედით ჩამორჩებოდა (50), ისევე როგორც რუსეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების შესახებ გზავნილები (49).

ორი ახალი გზავნილი, რომელიც 2020 წელს რუსეთის თემატიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა, ერთი მხრივ, საქართველოს შიდა საარჩევნო პროცესს, მეორე მხრივ, თურქეთ-აზერბაიჯანის „საფრთხის" შეკავებას, ასევე ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის როლს უკავშირდებოდა:

1. **ბრალდებები საქართველოს არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე დაუსაბუთებელია (34):** ამერიკის ელჩის კელი დეგნანის განცხადებას[10] საქართველოს საარჩევნო პროცესში რუსეთის შესაძლო ჩარევის შესახებ და ცენტრ „დოსიეს" გამოძიებას[11] კრემლის მიერ „პატრიოტთა ალიანსის" წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების თაობაზე, პრორუსი აქტორების მხრიდან თავდაცვით ტაქტიკაზე გადასვლა და ამ ბრალდებების უარყოფა მოჰყვა.
2. **თურქეთის შეკავება / კავკასიაში კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ რუსეთს შეუძლია (47):** სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო საომარი მდგომარეობის განახლებას, მოჰყვა გზავნილი, რომ რეგიონში მშვიდობის დამყარება მხოლოდ რუსეთს შეუძლია, რასაც თან სდევდა ნარატივი, რომ საქართველოს თურქული საფრთხისგან დაცვაც მხოლოდ რუსეთს ხელეწიფება.

ძველი გზავნილებიდან კვლავ აქტუალური იყო ნარატივი, რომლის თანახმად:

- ჰომოსექსუალობისგან დაცვა (14);
- მართლმადიდებლობის დაცვა და ტრადიციული იდენტობის შენარჩუნება (13) მხოლოდ მესიანისტური მისიით აღჭურვილ რუსეთს შეუძლია.

[10] რადიო თავისუფლება, 1 ივლისი, 2020. „კელი დეგნანის თქმით, საქართველოს არჩევნები რუსეთის აშკარა სამიზნეა". https://www.radiotavisupleba.ge/a/30701112.html
[11] Civil.ge, 26 აგვისტო, „რუსული არასამთავრობო: კრემლი საქართველოს არჩევნებში ერევა და პატრიოტთა ალიანსს ეხმარება". https://civil.ge/ka/archives/363740

## დიაგრამა 6. გზავნილები რუსეთთან, ავტორიტარულ სისტემებთან დაკავშირებით, 2020




**NATO.** 2020 წელს ანტინატო გზავნილების შემცირება გარკვეულწილად ინტეგრაციის მიმართულებით ინიციატივების არარსებობას უკავშირდებოდა, ასევე კორონავირუსის პანდემიას და ყარაბაღის კონფლიქტით გამოწვეულ ახალ რეალიებს, რამაც ასახვა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან მიმართებით საკომუნიკაციო გზავნილებზეც ჰპოვა. კერძოდ, გამოიკვეთა 2 ახალი ნარატივი:

1. **პანდემიის გამო ნატო უფუნქციოა / ნატო = ინფიცირების საფრთხე (10):** აღნიშნული გზავნილი, რომელიც პანდემიის გამო ნატოს უფუნქციოდ დარჩენას, ასევე ამ ინსტიტუტის ინფიცირების საფრთხესთან დაკავშირებას ახდენდა, თანხვედრაშია რუსეთის ხელისუფლების დაფუძნებული სპუტნიკის ნარატივთან[12].
2. **ყარაბაღის კონფლიქტი ნატოს უსაფრთხოებას ცვლის (8):** სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლებას და რუსეთის შუამავლობით მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას წინააღმდეგობრივი გზავნილები მოჰყვა. ერთი მხრივ, კეთდებოდა შეფასებები რეგიონში რუსეთის გავლენის გაძლიერების შესახებ და დასავლეთის პოზიციების შესუსტების თაობაზე, მეორე მხრივ, კასპის ზღვაზე თურქეთის გაძლიერება ნატოს პოზიციების გაძლიერებად და შესაბამისად, რეგიონალურ საფრთხედ იყო წარმოჩენილი.

[12] მედიის განვითარების ფონდი, 2021. „ინფოდემია საქართველოში“. http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/201

ძველი გზავნილებიდან ნატოს მიმართ სკეპტიციზმთან ერთად (83), კვლავ დღის წესრიგში იყო ნეიტრალიტეტის თემა (63), რომელსაც პრორუსული პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ ახმოვანებდა; ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი კვლავ რუსეთის პროვოცირებისა და საომარი ვითარების განახლების შესაძლებლობად იყო წარმოჩენილი (36); ასევე ტერიტორიების დაკარგვის ტოლფასად (27), რაც საქართველოს ნატოში დაჩქარებული წესით ინტეგრირების ინიციატივის ირგვლივ სპეკულაციებს უკავშირდებოდა, კერძოდ, კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ნატოს წესდების მე-5 მუხლს. ინიციატივა, აღნიშნული მუხლი ოკუპირებულ რეგიონებზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ გავრცელებულიყო, ტერიტორიების დაკარგვასთან მანიპულაციურად იყო გათანაბრებული. კვლავ ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ ნატო ვერ დაგვიცავს და მხოლოდ პლაცდარმად გვიყენებს (21), ნატო თავად არის აგრესორი და საფრთხე (14).

### დიაგრამა 7. გზავნილები NATO-სთან დაკავშირებით, 2020




**ევროპა / ევროკავშირი.** ახალი გზავნილი ევროკავშირთან და ევროპასთან მიმართებით 2020 წელს კორონავირუსის პანდემიას უკავშირდებოდა, რა დროსაც მკვიდრდებოდა აზრი, რომ პანდემია ევროკავშირის ერთიანობას საფრთხეს უქმნიდა (18), რადგან ევროკავშირმა წევრი ქვეყნების მიმართ სოლიდარობა ვერ გამოიჩინა და მათ დახმარება ვერ გაუწია.

ამასთანავე 2020 წელს გაზრდილია გზავნილები, რომლებიც საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულების უსარგებლობაზე აკეთებდნენ აქცენტს (33). ევროსკეპტიციზმთან (48) და ევროკავშირის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის (27) გზავნილთან ერთად, პანდემიის მიუხედავად, კვლავ აქტუალური იყო გზავნილი, რომ ევროკავშირი მიგრანტების მიღების ვალდებულებას და ისლამიზაციის საფრთხეს (17) გულისხმობს, ევროპა მისი ტოლერანტობის მსხვერპლია, რის გამოც იქ ნაციზმის აღზევება ხდება (8).

## დიაგრამა 8. გზავნილები ევროკავშირთან დაკავშირებით, 2020




**NGO, ჯორჯ სოროსი.** დამოკიდებულებები ამერიკელი ფილანტროპისა და ფონდ ღია საზოგადოების დამფუძნებლის ჯორჯ სოროსის, ასევე არასამთავრობოების მიმართ ანტიდასავლურ მედიაში არ შეცვლილა. 2020 წელს დომინირებდა გზავნილი, რომ სოროსი ებრძვის ტრადიციულ იდენტობას / მართლმადიდებლობას / ახალისებს ნარკომანიას (31), ახალისებს გადატრიალებებს, მათ შორის ამერიკაში და აფინანსებს ანტიფას (30), საქართველოს შიდა საქმეებში ერევა (19). არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო ქვეყნის დაკვეთის შემსრულებლად (25), ტრადიციულ იდენტობასთან მებრძოლებად (21) იყვენენ წარმოჩენილი, ასევე ისმოდა უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების შეზღუდვისა და გაკონტროლების მოწოდებებიც (5).

## დიაგრამა 9. გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოროსთან დაკავშირებით, 2020



# 2. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები

ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, მედია (1943) იყო, რომელსაც პარტიები და პოლიტიკოსები (634) მოსდევენ. შემდეგ ადგილებზე საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები (566) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (321) არიან, ხოლო ბოლოზე – სასულიერო პირები (81).

დიაგრამა 10. ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით, 2020




## 2.1 მედია

ანტიდასავლური გზავნილების მთავარ წყაროებად, წინა წლების მსგავსად, 5 მედია საშუალება გამოიკვეთა, ესენია: ონლაინ გამოცემები – „საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“, ტვ „ობიექტივი“, გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „ალია“. აღნიშნული გამოცემებიდან ლიდერობს „საქართველო და მსოფლიო“ (Geworld.ge), სადაც ყველაზე მეტი ნეგატიური საავტორო (1274) შეფასება გამოქვეყნდა, რესპონდენტთა ანტიდასავლური კომენტარები კი 441 იყო. რესპონდენტთა ანტიდასავლური კომენტარების მხრივ 2020 წელსაც ტვ „ობიექტივი“ (638) ლიდერობდა, სადაც ჟურნალისტთა 246 მსგავსი შეფასება გაკეთდა. სხვა გამოცემებში კი ასეთი სურათი იკვეთება: საინფორმაციო პორტალი „საქინფორმი“ – სარედაქციო კომენ-

ტარი: 346, რესპონდენტი: 53; გაზეთები „ასავალ-დასავალი“ – სარედაქციო კომენტარი: 49, რესპონდენტი: 137 და „ალია“ – სარედაქციო კომენტარი: 25, რესპონდენტი: 99.

### დიაგრამა 11. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით, 2020




დასავლეთის წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომენტარი „საქართველო და მსოფლიოში“ (410) გაკეთდა, ანტიამერიკული კომენტარების მხრივ კი როგორც „საქართველო და მსოფლიო“ (298), ასევე „საქინფორმი“ (140) და ტვ „ობიექტივი“ (94) ლიდერობენ. იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული კომენტარები „საქართველო და მსოფლიოსა“ (209) და ტვ „ობიექტივში“ (41) დომინირებს. „საქართველო და მსოფლიო“ რუსეთის მიმართ სენტიმენტების მხრივაც ლიდერობს (194).

### დიაგრამა 12. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით, 2020



## 2.2 პარტიები / პოლიტიკოსები

„პატრიოტთა ალიანსმა“ ანტიდასავლური გზავნილების მხრივ ლიდერობა 2020 წელსაც შეინარჩუნა (363). მას მოსდევენ: რუსეთის ხელისუფლება (71), „ქართული მარში“ (38), ნეიტრალური სოციალისტური საქართველო (21), ქართული ოცნება (21), ქართული იდეა (19) და ქართული დასი (19).

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ულტრამემარჯვენე მოძრაობა „ქართული მარში“ პარტიად რეგისტრირდა და საარჩევნო პროცესში მიიღო მონაწილეობა, ხოლო გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის მხრიდან ანტიდასავლური გზავნილები მკვეთრად შემცირდა (2) და სხვადასხვაშია გაერთიანებული, რაც ასევე წინასაარჩევნო პროცესს უნდა უკავშირდებოდეს. აღნიშნული პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე საარჩევნო პროცესში მეტწილად ოპოზიციის სახელით საარჩევნო დარღვევებზე სასაუბროდ ჩნდებოდა, შესაბამისად, საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე მეინსტრიმულ მედიაში პლატფორმა ნაკლებად ეთმობოდა, ხოლო ოპოზიციასთან თანამშრომლობის გამო ანტიდასავლური მედია მის მიმართ ნაკლებ ლოიალური გახდა.

დიაგრამა 13. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები პოლიტიკოსების მიხედვით, 2020




პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში ყველაზე მეტი ანტიამერიკული (149), ნატოს საწინააღმდეგო (73) და იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული (49) გზავნილი გამოვლინდა. რუსეთის ხელისუფლების შემთხვევაში ყველაზე მეტი ანტიამერიკული კომენტარი (29) იყო, ქართული მარშის შემთხვევაში კი – იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული (19).

### დიაგრამა 14. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკოსების მიხედვით, 2020




## 2.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციები

გამოიკვეთა 10 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ანტიდასავლური გზავნილების მხრივ ყველაზე მეტად აქტიურობდა. მათ შორის ლიდერობდა „ევრაზიის ინსტიტუტი“ (69), რომელიც მეტწილად „საქართველო და მსოფლიოს“ გვერდზე ჩნდებოდა, მას მოსდევს „საქართველოს განვითარების ლაბორატორია“ (54), რომელსაც ძირითადად მისი დირექტორი ირაკლი გოგავა წარმოადგენდა[13]; პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი (46), ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის (34), უფლებადამცველთა გაერთიანება (122) და სხვები.

| # | NGO | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ევრაზიის ინსტიტუტი | 69 |
| 2 | საქართველოს განვითარების ლაბორატორია | 54 |
| 3 | პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართული ურთიერთობის ცენტრი | 46 |
| 4 | ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის | 34 |
| 5 | უფლებადამცველთა გაერთიანება | 22 |
| 6 | სტალინელი | 21 |
| 7 | გლობალური კვლევების ცენტრი | 14 |

13 1999-2004 წლებში გოგავა საქართველოს პარლამენტის წევრი იყო მოქალაქეთა კავშირიდან და დაკავშირებული იყო ქვემო ქართლის გუბერნატორთან ლევან მამლაძესთან
https://old.civil.ge/geo/article.php?id=640

| # | NGO | რაოდენობა |
|---|---|---|
| 8 | რუს და ქართველ ხალხთა ერთობის ფონდი | 12 |
| 9 | კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი | 11 |
| 10 | სახალხო კრება | 8 |
| 11 | სხვადასხვა | 30 |

## 2.4 სასულიერო პირები

სასულიერო პირებიდან ანტიდასავლური გზავნილებით წინა წლის მსგავსად ავჭალის ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი გიორგი რაზმაძე (37) გამოირჩეოდა, რომელიც ძირითადად „საქართველო და მსოფლიოს" პლატფორმაზე ჩნდებოდა. გასულ წელს ამ თვალსაზრისით ასევე ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონიც (11) გააქტიურდა.

| სასულიერო პირები | რაოდენობა | სასულიერო პირები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| გიორგი რაზმაძე | 37 | სპირიდონ აბულაძე | 2 |
| ანტონ ბულუხია | 11 | იოანე გამრეკელი | 2 |
| ილია ჩიკვაიძე | 6 | ილია ზელენსკი | 2 |
| გურამ გამცემლიძე | 6 | დავით ისაკაძე | 2 |
| მეუფე დანიელი | 3 | სხვადასხვა | 4 |
| ბასილ მკალავიშვილი | 3 | | |
| ანდრია ჯაღმაიძე | 3 | სულ | 81 |

# 3. გავლენის სტრატეგიები და ნარატივების სტრუქტურა

კრემლის გავლენის სტრატეგიები როგორც პოზიტიურ ანუ კონსტრუქციულ, ასევე ნეგატიურ და ირიბ დესტრუქციულ სტრატეგიებს[14] მოიცავდა:

- **პოზიტიური ანუ კონსტრუქციული:** ცდილობს დაამკვიდროს თანმიმდევრული ნარატივი ზოგადად საზოგადოების ან კონკრეტული სამიზნე ჯგუფის დონეზე.
- **ნეგატიური დესტრუქციული:** ცდილობს აღკვეთოს თანმიმდევრული ნარატივის გაჩენა ან დაასუსტოს ის.
- **ირიბი დესტრუქციული:** ცდილობს არსებითი საკითხებიდან ფოკუსის გადატანას.

როგორც დიაგრამა 15 აჩვენებს, ბოლო 5 წლის მანძილზე ამერიკის მიმართ ნეგატიური და ირიბი დესტრუქციული სტრატეგია მკვეთრად გაზრდილია, ნატოს მიმართ იდენტური მიდგომების პიკი, 2019 წელი იყო, როცა საქართველოს ნატოში დაჩქარებული წესით ინტეგრირების ინიციატივა, რომელიც ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგს რასმუსენმა თბილისში ყოფნისას გაახმოვანა, აქტიურად განიხილებოდა. ხოლო 2020 წელს ამ თემაზე გზავნილების შემცირება გარკვეულწილად პანდემიას, გარკვეულწილად ადრინდელი ინიციატივების დღის წესრიგიდან გაქრობას უკავშირდებოდა. ევროკავშირთან ნეგატიური და ირიბი დესტრუქციული სტრატეგიული ნარატივების პიკი 2017 წელს იყო, რაც დროში საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებას ემთხვევა, ხოლო მას შემდეგ შემცირებულია, რაც ასევე შემდგომი ინტეგრაციის პროცესის შენელებასთან არის კორელაციაში. რუსეთის მიმართ პოზიტიური კონსტრუქციული სტრატეგია კი ეტაპობრივად მზარდია.

[14] Lund University (2018). Countering Information Influence Activities. https://www.msb.se/RibData/Filer/pdf/28697.pdf

## დიაგრამა 15. ინფორმაციული გავლენის სტრატეგიები




წინა წლებისგან განსხვავებით, 2020 წელს კრემლი და მასთან დაკავშირებული აქტორები თავდასხმით სტრატეგიასთან ერთად თავდაცვით კომუნიკაციაზე გადავიდნენ, რაც თავის მხრივ, დასავლეთის მხრიდან რუსეთის ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირების შედეგია. კერძოდ საპასუხო თავდაცვითი ნარატივები შემდეგ თემებს და გზავნილებს შეეხებოდა:

| თემატიკა | გზავნილი<br>ბრალდებები კრემლის მიმართ | საპასუხო ნარატივი<br>თავდაცვითი სტრატეგია |
|---|---|---|
| არჩევნები | **რუსეთი არჩევნებში ერევა**<br><br>**კელი დეგნანი, აშშ-ს ელჩი საქართველოში:** „ყველამ ვიცით, რამდენად აქტიური და გამომგონებლურია რუსული დეზინფორმაცია, როცა საქმე ეხება არჩევნებს ბევრ ჩვენს ქვეყანაში და საქართველო აშკარად არის სამიზნე[15]“. | ● ბრალდებები რუსეთის საქართველოს არჩევნებში ჩარევაზე დაუსაბუთებელია<br>● ამერიკა თავად ერევა საქართველოს საარჩევნო პროცესში |
| | **ცენტრი „დოსიე“:** კრემლი საპარლამენტო არჩევნებში ჩარევას გეგმავს და ამ მიზნით პატრიოტთა ალიანსს აფინანსებს[16] | ● ბრალდებები პატრიოტთა ალიანსის კრემლთან თანამშრომლობაზე დაუსაბუთებელია<br>● პატრიოტთა ალიანსს ტრამპის მტრები ებრძვიან |

[15] რადიო თავისუფლება, 1 ივლისი, 2020. „კელი დეგნანის თქმით, საქართველოს არჩევნები რუსეთის აშკარა სამიზნეა“. https://www.radiotavisupleba.ge/a/30701112.html

[16] Civil.ge, 26 აგვისტო, „რუსული არასამთავრობო: კრემლი საქართველოს არჩევნებში ერევა და პატრიოტთა ალიანსს ეხმარება“. https://civil.ge/ka/archives/363740

| თემატიკა | გზავნილი<br>ბრალდებები კრემლის მიმართ | საპასუხო ნარატივი<br>თავდაცვითი სტრატეგია |
|---|---|---|
| ისტორია | **სსრკ თანამშრომლობდა ნაცისტურ გერმანიასთან**<br><br>ევროპარლამენტის რეზოლუცია: „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ **პოლონეთში ჯერ ჰიტლერი, ხოლო 2 კვირის შემდეგ სტალინი შეიჭრა** – რომელმაც ქვეყანას დამოუკიდებლობა წაართვა, რაც პოლონელი ხალხის უპრეცედენტო ტრაგედია იყო. კომუნისტურმა საბჭოთა კავშირმა 1939 წლის 30 ნოემბერს ფინეთის წინააღმდეგ აგრესიული ომი დაიწყო, ხოლო 1940 წლის ივნისში რუმინეთის ტერიტორიების ანექსია მოახდინა. ეს ტერიტორიები რუმინეთს არასდროს დაბრუნებია. ასევე მოახდინა ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ანექსია[17]“. | • **დასავლეთი ისტორიის რევიზიას ცდილობს**<br><br>**ვლადიმირ პუტინი:** „ევროპარლამენტის რეზოლუციამ ფაქტობრივად გაათანაბრა ნაცისტი აგრესორები და საბჭოთა კავშირი. ლამის საბჭოთა კავშირს, ნაცისტურ გერმანიასთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას აბრალებენ. თითქოს დაავიწყდათ, თუ ვინ დაესხა თავს 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთს და 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს“. |

საერთო ისტორიული მეხსიერება ის საყრდენია, რომლის ინსტრუმენტალიზებას კრემლი მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ხალხების კონსოლიდირების მიზნით ცდილობს. ვლადიმერ პუტინის სიტყვები, რომელიც მან 2017 წელს „უკვდავი პოლკის“ აქციაში მონაწილეობისას გაახმოვანა, ამ მიზნებს ყველაზე კარგად გამოხატავს:

> **ვლადიმირ პუტინი, რფ პრეზიდენტი: „[უკვდავი პოლკი] საერთაშორისო თანამშრომლობის უზარმაზარი პოტენციალია ისტორიული ჭეშმარიტებისა და საერთო მეხსიერების დასაცავად, ხალხების დასაახლოვებლად და ორმხრივი ნდობის გასაძლიერებლად[18]“.**

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული დისკურსის საპასუხოდ, 2021 წელს რუსეთის დუმამ მიიღო კანონი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის როლების გათანაბრებას სამართლებრივად კრძალავს[19].

[17] European Parliament resolution on the importance of European remembrance for the future of Europe (2019/2819(RSP), 18 September, 2019. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-9-2019-0097_EN.html

[18] მედიის განვითარების ფონდი, 2019. რუსული სამყარო საქართველოში http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/117

[19] РИА Новости, 9.6, 2021, Госдума приняла закон о запрете уравнивания ролей СССР и Германии в войне https://ria.ru/20210609/voyna-1736269869.html

რაც შეეხება ანტიდასავლური გზავნილების ნარატივების სტრუქტურას, წინა წლების მსგავსად, ის კვლავ 3 საფეხურიანი იყო და 1) შიშების კულტივირებას, 2) უიმედობისა და სკეპტიციზმის დანერგვას და 3) ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთის დასავლეთის ალტერნატივად დასახვას ისახავდა მიზნად.

| I. შიშების დათესვა | II. უიმედობის და სკეპტიციზმის დანერგვა | III. რუსეთი, როგორც დასავლეთის ალტერნატივა |
|---|---|---|
| 1. რუსეთის პროვოცირების, ომის განახლების და არასტაბილურობის შიში | 1. დასავლეთი სამხედრო საფრთხეებისგან ვერ დაგვიცავს | 1. ნეიტრალიტეტი საქართველო-რუსეთს შორის წინააღმდეგობებს მოხსნის |
| 1. ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიში | 2. დასავლეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ვერ დაიცავს | 2.1. მეზობელი ქვეყნებისგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია<br>2.2. აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ რუსეთთან პირდაპირი დიალოგითაა შესაძლებელი |
| 3. ბიოდივერსიის და გლობალური კონტროლის შიში | 3. დასავლეთი პანდემიის საფრთხისგან ვერ დაგვიცავს | 3. პანდემიისგან ხსნა ავტორიტარულ ქვეყნებს/საბჭოთა მედიცინას ძალუძს |
| 4. იდენტობის დაკარგვის და ასიმილაციის შიში | 4. ლიბერალური წესრიგი მარცხს განიცდის | 4. რუსეთი მესამე რომია, რომელიც დასავლეთის მორალური ოკუპაციისგან გვიცავს |
| | 5. დემოკრატია ფიქციაა | 5. საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად სტაბილური და სოციალურად დაცული სისტემა იყო |
| | 6. ასოცირების ხელშეკრულება/ ევროკავშირი უსარგებლოა | 6. საქართველო ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსულ ბაზარზე |

## I. შიშების დათესვა

წინა წლების მსგავსად ანტიდასავლური პროპაგანდა 4 შიშის ინსტრუმენტალიზაციას ახდენდა:

### 1.1. რუსეთის პროვოცირების, ომის განახლების და არასტაბილურობის შიში

ძველი გზავნილების გარდა, რომ 2008 წლის ომი რეალურად ამერიკის პროვოცირებულია და დასავლეთი არ არის დაინტერესებული რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზებით, 2020 წელს დამატებით საქართველოს და მთლიანად რეგიონის კონფლიქტში ჩათრევასთან დაკავშირებული განცხადებები უფრო მეტად აქტუალური ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლების გამო გახდა:

**დასავლეთი ყარაბაღის კონფლიქტში საქართველოს / რუსეთის ჩათრევას ცდილობს**

გიორგი ირემაძე, **ახალგაზრდა ევრაზიული კავშირი, საქართველო და მსოფლიოს ავტორი:** „... არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ **შესაძლოა ბაიდენ-კრამერმა ეცადონ და საქართველოც ჩაითრიონ ყარაბახის კონფლიქტში**[20]".

ბესო ბარბაქაძე, **საქართველო და მსოფლიოს ჟურნალისტი:** „ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ **დასავლეთს სურდა ომში [ყარაბაღის] რუსეთის ჩართვა და ასეთ შემთხვევაში კავკასია საბრძოლო პოლიგონად იქცეოდა, საქართველოც ავტომატურად აღმოჩნდებოდა კონფლიქტში ჩართული** და საბოლოოდ მივიღებდით იმას, რომ ამიერკავკასია მხოლოდ ტერიტორია იქნებოდა[21]".

**ყარაბაღის კონფლიქტი ნატოს კასპიის სანაპიროზე გამოჩენას შეუწყობს ხელს**

ვალერი კვარაცხელია, **„ობიექტივის" წამყვანი:** „თუ მოხდება ეს შეთანხმება აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, ასეთ შემთხვევაში **ნატო აღმოჩნდება კასპიის სანაპიროზე** და ასრულდება ერთი უზარმაზარი ოცნება ამერიკის შეერთებული შტატების[22]".

**დასავლეთი სირია-თურქეთის დრამატული პროცესების რუსეთის საზღვართან გადმოტანას ცდილობს**

დიმიტრი ლორთქიფანიძე, **პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი:** „...ერთ-ერთი ასეთი მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ **სირია-თურქეთის საზღვარზე მიმდინარე დრამატული პროცესები გადმოტანილ იქნას რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან**[23]".

[20] საქართველო და მსოფლიო, 27 ოქტომბერი https://bit.ly/3htAHWA
[21] საქართველო და მსოფლიო, 13 ოქტომბერი https://bit.ly/3bt2T8i
[22] ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 29 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/3971527
[23] საქართველო და მსოფლიო, 18 მარტი https://bit.ly/2wge8iP

**შავ ზღვაზე ნატოს გაძლიერება/საქართველოს ნატოში ინტეგრირება = რუსეთის პროვოცირებას:**

მარია ზახაროვა, **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი:** „შავ ზღვაში ნატო-ს სამხედრო ძალების გაძლიერება ძირს უთხრის რეგიონში სტაბილურობას და **რუსეთი იძულებულია, ამაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს**[24]".

გიგი მაღლაკელიძე, **პატრიოტთა ალიანსი:** „საქართველო არის სერიოზული საფრთხე რუსეთისთვის, რომ გააღვივოს ძალიან მასშტაბური კონფლიქტი ნატოსა და რუსეთს შორის... **საქართველო შეიძლება გახდეს კოცონი ძალიან სერიოზული სამხედრო დაპირისპირების**[25]".

**ნატო/ამერიკა საქართველოს ისლამური სახელმწიფოს/ირანის სამიზნედ ხდის**

არნო ხიდირბეგიშვილი, **„საქინფორმის" მთავარი რედაქტორი:** „ნატოს წევრობის შემთხვევაში, ხომ არ გადავიქცევით ისლამური ფუნდამენტალიზმის სამიზნედ?"[26]

გიგი მაღლაკელიძე, **პატრიოტთა ალიანსი:** „ირანი არის აგერ ჩვენი მეზობელი და ირანის ფრთოსანი რაკეტები, ახლო და საშუალო სიშორის რაკეტები, რომელიც მას ძალიან ბევრი აქვს, პირდაპირ აღწევს საქართველოს ტერიტორიას და საქართველოს აკვატორიამდე და საქართველოს არ გააჩნია არც ანტისარაკეტო სისტემები, არც საჰაერო დაცვის სისტემები[27]".

შოთა აფხაიძე, **კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი:** „ეს საფრთხე უფროა, ვიდრე უსაფრთხოება, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგება საქართველოს გადააქცევს საბრძოლო მოქმედებების პლაცდარმად. რუსეთთან ან ირანთან ფართომასშტაბიანი კონფლიქტის შემთხვევაში, ეს ტერიტორია ბრძოლის ველად გადაიქცევა, განადგურდება არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, დაზარალდება მოსახლეობა[28]".

**2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ამერიკის ინტერესებში იყო, საქართველოს ინსტრუმენტალიზაცია შესაძლოა ირანის წინააღმდეგაც მოხდეს**

ბონდო მძინარაშვილი, **„ობიექტივის" წამყვანი:** „2008 წელში ძალიან, ასე ვთქვათ, ცდილობდნენ ამერიკელები, რომ საქართველოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები თავიანთ საარჩევნო კამპანიისთვისაც ხეირიანად, ასე ვთქვათ, გამოეყენებინათ. რაც ჩვენთვის იყო ტრაგედია, მათთვის იყო პოლიტიკა... **იქნება თუ, არა ამგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტი ირანში საომარი მოქმედებების დაწყება?**[29]"

24 სააგენტო პირველი, 3 დეკემბერი. https://bit.ly/3xmZhNG
25 ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 თებერვალი. https://www.myvideo.ge/v/3899262
26 საქინფორმი, 2 ივნისი https://bit.ly/3xgxizy
27 ობიექტივი, ღამის სტუდია, 9 იანვარი https://www.myvideo.ge/v/3892093
28 საქართველო და მსოფლიო, 15 ივლისი https://bit.ly/2Cdruzn
29 ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 იანვარი https://www.myvideo.ge/v/3890535

გიორგი ლომია, **პატრიოტთა ალიანსი:** „საჭირო იყო, რომ რუსეთი იმ მომენტში ყოფილიყო აგრესორი, ყოფილიყო ომი კავკასიის რეგიონში, ვთქვათ საქართველოსთან, მაკკეინს ამ თემაზე ეყვირა ყველგან, რო საჭიროა რუსეთს, რუსეთთან უფრო მკაცრი ურთიერთობა[30]"...

ვალერი კვარაცხელია, **საქართველო და მსოფლიოს ავტორი:** „დააწყებინეს სააკაშვილს 2008 წლის ომი სამხრეთ ოსეთში, რომ რუსეთს ძალმომრეობაზე ძალმომრეობით პასუხის გაცემის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა[31]".

**ამერიკა/ნატო არ არის დაინტერესებული კონფლიქტის მოგვარებით და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებით:**

გულბაათ რცხილაძე, **ევრაზიის ინსტიტუტი:** „ეს ამერიკელების პოლიტიკაა, მათ სურთ, არ დაუშვან რუსეთთან არანაირი დიალოგი, ზუსტად ისე, როგორც **საქართველოს უშლიან რუსეთთან დალაპარაკებას**[32]".

გურამ ნიკოლაიშვილი, **პატრიოტთა ალიანსი:** „ეს კედელი, რომ გაიშალოს და ხიდად გახდეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან, ეს არ მოსწონთ. იმათ [ბენ ჰოჯესი, მაკეინის ინსტიტუტი] უნდათ ყოველთვის, რომ **საქართველო იყოს დატენილი თოფი და რუსეთზე მიმართული**[33]."

სერგეი ლავროვი, **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:** „ველოდებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო სერიოზულად მიიღებენ ჩვენს გაფრთხილებას და შეწყვეტენ **თბილისსა და მოსკოვს შორის კონფლიქტის წახალისებას**. რაც შეგვეხება ჩვენ, მუდმივად ვართ დაინტერესებული ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობების ორგანიზებისთვის[34]".

**ფერადი რევოლუციები რუსეთის სამეზობლოში რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული/აშშ ბელორუსის შემდეგ გადატრიალებას საქართველოში გეგმავს:**

ვალერი კვარაცხელია, **„საქართველო და მსოფლიოს" ავტორი:** „ბელარუსში დაწყებული პროცესი ბინძური სახელმწიფო გადატრიალებისა მიმართულია არა იმდენად ბელარუსის წინააღმდეგ, რამდენადაც რუსეთის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მთავარი სამიზნე რუსეთია. რუსეთს მის საზღვრებთან არ უნდა ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორი[35]".

ვალერი კვარაცხელია, **„საქართველო და მსოფლიოს" ავტორი:** „დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ამერიკელების მიერ ე.წ. ფერადი რევოლუციის მეშვეობით მოყვანილი ლიდერი იყო, რომელმაც ჩააფლავა რუსეთთან ურთიერთობა და სომეხი ხალხი უმძიმესი რეალობის წინაშე დააყენა[36]".

30 ობიექტივი, ღამის სტუდია, 8 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/3957651
31 საქართველო და მსოფლიო, 9 სექტემბერი https://bit.ly/3m1Ry2q
32 საქართველო და მსოფლიო, 24 ივნისი https://bit.ly/2YtfrpW
33 ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 დეკემბერი https://www.myvideo.ge/v/3997615
34 მთავარი არხი, მთავარი, 17 იანვარი https://www.myvideo.ge/v/3894748
35 საქართველო და მსოფლიო, 19 აგვისტო https://bit.ly/31f8tpX
36 საქართველო და მსოფლიო, 17 ნოემბერი https://bit.ly/364zWwf

გიორგი ირემაძე, **ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირი თავმჯდომარე, საქართველო და მსოფლიოს ავტორი:** „ანუ ლოგიკურ ჯაჭვს რომ მივყვეთ, ფაქტიურად „აღმოსავლური პარტნიორობის“ ყველა წევრ სახელმწიფოში რევოლუციური და კონფლიქტური ვითარებაა, თითქოს ვიღაცის ერთიანი გეგმა ხორციელდება და ეს ტალღა მომავალი არჩევნების ფონზე, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ შესაძლოა საქართველოსა და მოლდოვეთსაც მოუახლოვდეს... როგორც ბელორუსიაში, ასევე აქაც, ოპოზიცია იმოქმედებს ამერიკელი კურატორების ხელმძღვანელობით[37]“.

არნო ხიდირბეგიშვილი, **მთავარი რედაქტორი:** „აშშ-ის ევროპული ჯარების ყოფილი სარდალი [ბენ ჰოჯესი] იმუქრება, რომ ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალების დასრულების შემდეგ ისინი მომდევნო რევოლუციას საქართველოში განახორციელებენ... დიახ, ბელარუსის შემდეგ იქნება მცდელობა საქართველოში, შემდეგი – სომხეთში, და პერსპექტივაში – ყაზახეთში[38]“.

## 1.2. ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიში

### ნატო = აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვას

დავით თარხან-მოურავი, **პატრიოტთა ალიანსი:** „სამუდამოდ ითქვას უარი სოხუმსა და ცხინვალზე, ამ ტერიტორიების აღიარება და მათზე უარის თქმა. ესაა ნატოს პოზიცია[39].“

გივი გურეშიძე, **„საქართველო და მსოფლიოს“ ავტორი:** „ღმერთმა არ ქნას, რომ ამ **ვერაგ ნატოში** გააწევრონ ჩემი ტანჯული და გაცოტავებული სხეული, თორემ **სოხუმსა და ცხინვალს საბოლოოდ დავკარგავ** და ჩემი სხეულის სხვა ნაწილებსაც – მარნეულის მხარესა და ჯავახეთსაც ზედ მივაყოლებ, რაღა დავრჩები?[40]“

### ნატო = თურქეთის ინტერვენციას

დავით თარხან-მოურავი, **პატრიოტთა ალიანსი:** „...არც ამას მალავენ, რომ თურქეთს უნდა მივცეთ აჭარა და აქ შემოვა ნატო.... ანუ ოღონდ აქ ნატო შემოვიდეს და ყველაფერი უნდა მივცეთ, სოხუმი, ცხინვალი, ბათუმი, ახალციხე, ოზურგეთი, ყველაფერი[41].“

შოთა აფხაიძე, **კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი:** „რაც არ უნდა გააკეთოს ერდოღანმა ანტიდასავლური განცხადებები, ის მაინც ზომიერად რჩება დასავლეთის პარტნიორი... და **თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, ამერიკა ამ ტერიტორიებს, პირველ რიგში, თურქეთს გადასცემს**[42]“.

[37] საქართველო და მსოფლიო, 27 ოქტომბერი https://bit.ly/3hEfbOL
[38] საქინფორმი, 3 სექტემბერი, NEWS FRONT https://bit.ly/3eHt63C
[39] ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 11 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/3958942
[40] საქართველო და მსოფლიო, 17 ნოემბერი https://bit.ly/3AI7kfR
[41] ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=3957432
[42] საქართველო და მსოფლიო, 11 ივლისი https://bit.ly/32m3iWm

### თურქული ნატო vs რუსეთის სამშვიდობო ძალები

ნინო რატიშვილი, **„ობიექტივის“ წამყვანი:** „ჩვენ გვახსოვს სამშვიდობო ძალები რუსების, ისინი ხომ თავისი ინიციატივით, ასეა თუ ისეა, ეს სამშვიდობო ჯარი იყო ხომ?.. **თურქული ნატო ჩვენ მოგვცემს დივიდენდებს?..** არ არის საშიში თურქული ნატო საქართველოში?.. ჩვენ ხომ ვიცით რომ აჭარაში მართლაც ცუდი მდგომარეობაა[43].“

## 1.3. ბიოლოგიური დივერსიისა და გლობალური კონტროლის შიში

ლუგარის ლაბორატორიის შესახებ ტრადიციული გზავნილების გარდა, რომლებიც წინა წლების მსგავსად პირდაპირ რუსეთის ხელისუფლებისგან ან მასთან დაკავშირებული ადგილობრივი აქტორების მხრიდან ისმოდა, 2020 წელს კორონავირუსის ხელოვნური წარმომავლობის და გლობალური კონტროლის დამყარების შესახებ ახალი გზავნილები გაჩნდა.

### კორონავირუსი ბაქტერიოლოგიური ომის ნაწილია, მიმართული რელიგიის წინააღმდეგ

ილია ჩიკვაიძე, **სასულიერო პირი:** „ეს კორონა ვირუსი არის, ჩემის დაბალი მოსაზრებით, ბაქტერიოლოგიური ომი კაცობრიობის წინააღმდეგ... პირველი, ეს არის რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა და მეორე ალბათ ჩიპიზაციის პროცესი[44]“.

### კორონავირუსი ამერიკულ ლაბორატორიებშია შექმნილი

ნიკა კორინთელი, **„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი:** „ვერსიას იმის შესახებ, რომ კორონავირუსი შეიძლება გამოიყვანეს ოკეანისგაღმა ლაბორატორიაში, შემდეგ კი შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოვიდა კონტროლის ზონიდან, იზიარებენ რუსი ექსპერტებიც[45]“.

### კორონავირუსმა ის ქვეყნები აზარალა, ვინც ამერიკისთვის საფრთხეა

არნო ხიდირბეგიშვილი, **მთავარი რედაქტორი:** „როგორც მოგეხსენებათ, კორონავირუსმა ყველაზე მტკივნეულად დაარტყა იმ ქვეყნებს, რომლებიც პენტაგონის და CIA-ს დასკვნის თანახმად, ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ აშშ-თვის. ესენი არიან ჩინეთი, რუსეთი და ირანი[46]“.

[43] ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 სექტემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=3966662
[44] ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 მარტი https://www.myvideo.ge/?video_id=3915965
[45] საქართველო და მსოფლიო, 31 მარტი https://bit.ly/2QZkSZF
[46] საქინფორმი, 9 მარტი https://bit.ly/3wdM4FM

### ამერიკელები ლუგარის ლაბორატორიას  საცდელ პოლიგონად იყენებენ

**ჯეფრი სილვერმანი, Veterans Today:** „დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს[47]".

**გიორგი ირემაძე, საქართველო და მსოფლიოს ავტორი, ახალგაზრდა ევრაზიული კავშირი:** „ვაშინგტონი ლუგარის ლაბორატორიის მეშვეობით, დიდი ალბათობით, საქართველოში ატარებს საიდუმლო და სახიფათო ექსპერიმენტებს[48]".

### რუსეთის საზღვრებთან ამერიკული ლაბორატორიები საფრთხეა

**მარია ზახაროვა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლი:** „ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურას, რომელსაც აქვს საშიში ბიოლოგიური პოტენციალი, ამერიკელები ქმნიან რუსეთის საზღვრების სიახლოვეს[49]".

**დიმიტრი მედვედევი, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:** „აშშ-ის მიერ მთელ მსოფლიოში განთავსებული ლაბორატორიების მუშაობა უნდა იყოს გონივრულ დონეზე გამჭვირვალე, რათა არ გამოიწვიოს ეჭვები ნებისმიერი ახალი ინფექციის გავრცელებისას[50]".

## 1.4. იდენტობის დაკარგვის და ასიმილაციის შიში

მართალია, კათოლიციზმის მართლმადიდებლობასთან შეუთავსებლობა ანტიდასავლური დისკურსის შემადგენელი წინა წლებშიც იყო, თუმცა 2020 წელს რომის პაპის ფრანცისკეს განცხადებას[51], რომ ჰომოსექსუალ წყვილებს სამოქალაქო კავშირში ყოფნის უფლება კანონმდებლობით უნდა მიეცეთ, ანტიკათოლიკური გზავნილების კიდევ უფრო მეტი ზრდა მოჰყვა:

### კათოლიციზმი შეუთავსებელია მართლმადიდებლობასთან / ვატიკანი მხარს უჭერს ანტიქრისტიანულ ძალებს

**ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „კათოლიკურ ევროპას ქართული მართლმადიდებლური მორალი და მენტალობა ვერასოდეს შეეწყობა[52]".

47 საქართველო და მსოფლიო, 17 ივნისი https://bit.ly/3ebKfko
48 საქართველო და მსოფლიო, 17 ივნისი https://bit.ly/3ebKfko
49 საქინფორმი, 20 აპრილი https://bit.ly/3heJKKA
50 საქინფორმი, 18 ივნისი https://bit.ly/2V2BB37
51 რადიო თავისუფლება, 21 ოქტომბერი, „რომის პაპი მხარს უჭერს ჰომოსექსუალი წყვილების სამოქალაქო კავშირს" https://www.radiotavisupleba.ge/a/30905645.html
52 საქართველო და მსოფლიო, 10 ნოემბერი https://bit.ly/36pHKsJ

**საქართველო და მსოფლიო:** „...ვატიკანი ღიად უჭერს მხარს მსოფლიოს გლობალური ტრანსფორმაციის ძალადობრივ მეთოდებს, რომლებსაც ანტიქრისტიანული ძალები განახორციელებენ[53]".

**დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას**

დავით მხეიძე, **„საქართველოს და მსოფლიოს" ავტორი:** „კათოლიკური ეკლესიის ე.წ. წმინდა ინკვიზიციის ლოცვა-კურთხევით აგიზგიზებულ კოცონებზე ათი ათასობით პროტესტანტს ერეტიკოს-ჯადოქრობის აბსურდული ბრალდებით ცოცხლად წვავდნენ და ამ წარსულის მქონე ეკლესიის ხელმძღვანელი ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას უსირცხვილოდ უჭერს მხარს[54]".

ალექსანდრე ჭაჭია, **„საქართველოს და მსოფლიო":** „ყველა ქვეყანა, რომლებიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ჰომოსექსუალური კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წააქეზოს... როდესაც ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას დააკანონებენ, კავკასიელები მეძავებისა და პედერასტების ერს დაგვიძახებენ[55]".

სანდრო ბრეგაძე, **ქართული მარში:** „თუ დავით გარეჯის და საქართველოს (?) ტერიტორიული მთლიანობის დაცვა კრემლის ინტერესები არის და მამათმავლების  დაცვა, არის დასავლური პოლიტიკა, მაშინ ყველაზე დიდ დისკრედიტაციას დასავლეთს უკეთებენ ის ხალხი, ვინც ამას ამბობენ და ლაპარაკობენ[56]".

**ბაიდენის გამარჯვება = ლგბტ ტერორს**

გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი, ქართული მარში:** „თუ ამერიკის პრეზიდენტი ბაიდენი იქნება, მთელ მსოფლიოში ლგბტ ტერორი გაასმაგდება!... ბაიდენმა ტრანსპორტის მინისტრად ღია მამათმავალი დაასახელა![57]"

**იუვენალური ფაშიზმი = ჩამორთმეული ბავშვების ჰომოსექსუალებისთვის მიშვილებას**

დიმიტრი ლორთქიფანიძე, **პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი:** **„იუვენალური ფაშიზმის** შედეგად დამკვიდრებული ბავშვთა განცალკევების ფენომენი, საბოლოო ჯამში, უკავშირდება მატერიალურად მდგრადი და მორალურად გახრწნილი ახალი „პარტნიორული" ურთიერთობების შედეგად შექმნილი „ოჯახების" ინტერესების დაკმაყოფილებას... ბავშვების აყვანის უფლებით[58]".

53 საქართველო და მსოფლიო, 23 სექტემბერი https://bit.ly/3omOWOq
54 საქართველო და მსოფლიო, 27 ოქტომბერი https://bit.ly/3fqHNIS
55 საქართველო და მსოფლიო, 7 ოქტომბერი https://bit.ly/3fbLWRS
56 მარშალპრესი, 9 ოქტომბერი https://mpn.ge/archives/34462
57 ასავალ-დასავალი, 28 დეკემბერი – 10 იანვარი
58 საქართველო და მსოფლიო, 24 ნოემბერი https://bit.ly/3dli7ay

## დასავლეთი ებრძვის ტრადიციულ ოჯახს

ლევან ჩაჩუა, **ქართული იდეა:** „ციხეები გადავსებულია ცოლების მიერ აბსურდული მიზეზებით დასმენილი ქმრებით... მიმდინარეობს მიზანმიმართული შეტევა ეკლესიისა და ოჯახის, როგორც ძლიერი საზოგადოების ქვაკუთხედის, წინააღმდეგ[59]“.

## ებრძვის რელიგიას/ეკლესიას

ავთო ენუქიძე, **პატრიოტთა ალიანსი:** „ეს ორგანიზაციები (NDI/IRI) ჩამოსულია იმისთვის, რომ... დაგინგრიოს სარწმუნოება და დაგანგრიოს როგორც ერი[60]“.

ანტონ ბულუხია, **ეპისკოპოსი:** „მებადება ეჭვი, რომ ხომ არ გადავხედოთ ჩვენს არჩევანს, როდესაც ჩვენ ავირჩიეთ ევროატლანტიკური გზა. თუ ევროპის ფასეულობა არის ეკლესიის სიძულვილი, ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა[61]“.

## ევროპა მისი ტოლერანტობის მსხვერპლია/ევროპაში ისლამიზაცია/ეთნოსების აღრევა ხდება

ნიკა კორინთელი, **„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი, Fondsk.ru-ს მიხედვით:** „დღეს, პრაქტიკულად, ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომლებიც თავიანთი ეკონომიკის განვითარებას იაფი მუშახელის მიზიდვითა და ე.წ. მულტიკულტურიზმის დანერგვით ცდილობენ, ფართოვდება ეთნიკური ანკლავები... ევროპაში გადასახლებულ აფრო-აზიელებს არ სურთ, ვინმემ რამით შეზღუდონ[62]“.

ირაკლი გოგავა, **საქართველოს განვითარების ლაბორატორია:** „ეს ემიგრაცია სპეციალურად კეთდება... რომ ევროპა ევროპელების აღარ იყოს და აღრეული იყოს რასები, ეთნიკური ჯგუფები, ეს არის გლობალისტების სცენარი[63]“.

**საქართველო და მსოფლიო:** „[ევროპაში] მიგრაცია და ისლამი გაერთიანდა ერთ პრობლემად, რომელიც შეუმჩნევლად მწიფდებოდა[64]“.

59 საქართველო და მსოფლიო, 3 ივნისი https://bit.ly/2XykAfZ
60 ობიექტივი, ნამდვილი ამბები, 6 თებერვალი https://www.myvideo.ge/v/3900671
61 ნეტგაზეთი, 25 მაისი https://netgazeti.ge/news/455253/
62 საქართველო და მსოფლიო, 20 ოქტომბერი https://bit.ly/3eN6LTq
63 ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 ივლისი https://www.myvideo.ge/v/3946907
64 საქართველო და მსოფლიო, 9 სექტემბერი https://bit.ly/3bGJHTi

# II. შიშების და სკეპტიციზმის დანერგვა

## 2.1. დასავლეთი სამხედრო საფრთხეებისგან ვერ დაგვიცავს

**ბონდო მძინარაშვილი, „ობიექტივის" წამყვანი:** „ჩვენ ფაქტობრივად შეგვატოვეს 2008 წელს პირის-პირ აქაური პროვოკატორის და იქაური დამპყრობელის, ასე ვთქვათ, ურთიერთმიუღებლობას და საბოლოო ჯამში, ჩვენი ტერიტორიები არი აღიარებული, მართალია მცირე, ერთი დიდი და სამი პატარა სახელმწიფოს მიერ მაგრამ, ნუ მაინც აღიარებული დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ხომ?![65]"

**გურამ ნიკოლაიშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „ქართული მხარე ეტყვის უარს კორიდორზე, მაგრამ თუ რუსეთს დასჭირდა ვინ გააჩერებს? რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია და ანდა სამხედრო ბლოკი აღუდგება  წინ, მითხარით, ერთი?[66]"

**ბესო ბარბაქაძე, „საქართველო და მსოფლიოს" ავტორი:** „...მერე შემოვა ბათუმის ან ფოთის პორტში ამერიკული გემი, ჩვენ გაგვიხარდება, იქიდან გადმოტვირთავენ წყალს და პამპერსებს (სიტუაციის შესაბამისად, პირბადეებსაც), დაგვამშვიდებენ, შემოგვძახებენ აბა, ჰეს და აბა, ჰოს და... და არც არაფერი, საერთაშორისო სანქციებს დაუწესებენ რუსეთს, თანაც საბაბად ჩვენ გამოგვიყენებენ[67]".

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ყველა საუბარი საქართველოს ნატოში შესვლაზე, უბრალოდ, დიდი ტყუილია. და ლაპარაკი, რომ ნატო სადღაც ვიღაცას ვინმესგან დაიცავს, უფრო დიდი ტყუილია[68]".

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში ახლა არ შედის რუსეთთან რაიმე ომში ჩაბმა[69]".

## 2.2. დასავლეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ვერ დაიცავს

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი პარტია „ქართული ოცნების" მიერ საქართველო-აზერბაიჯანის სადავო მონაკვეთზე მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით წამოწყებულმა კამპანიამ[70], მათ შორის ორი საჯარო მოხელის დაკავებამ[71], დღის წესრიგში ახალი სადავო ტერიტორიების თემა შემოიტანა. თუ წინა წლებში კრემლის ინტერესების გამხმოვანებელი აქტორები რუსეთის ოკუპაციიდან ყურადღების გადატანას ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ოკუპაციაზე ახდენდნენ

65 ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 თებერვალი https://www.myvideo.ge/v/3902607
66 ალია, 12-18 ოქტომბერი
67 საქართველო და მსოფლიო, 24 ივნისი https://bit.ly/2Yv3BeP
68 ობიექტივი, ღამის სტუდია-ნედელია, 21 იანვარი https://www.myvideo.ge/v/3895379
69 ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 15 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/3967028
70 მედიის განვითარების ფონდი, 2020. წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020 – ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია გვ.24 http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/191
71 Civil.ge, 21ოქტომბერი, 2020 „კარტოგრაფების საქმე". https://civil.ge/ka/archives/376516

(„თუ რუსეთია ოკუპანტი, თურქეთიც ოკუპანტია“), გარეჯის კამპანიამ პრორუსი და ულტრანაციონალისტი აქტორებისთვის დამატებით შექმნა ნოყიერი ნიადაგი, თურქეთთან ერთად ამ კონტექსტში აზერბაიჯანიც განეხილათ და რუსეთის ამჟამინდელი ოკუპაციიდან ისრები ისტორიულ მტრობაზე გადაეტანათ. ამასთანავე, აქცენტი გაეკეთებინათ იმაზე, რომ სტრატეგიული პარტნიორები აზერბაიჯანის და თურქეთის საფრთხისგან არ გვიცავენ და ერთადერთი ძალა, რომელსაც ამ საფრთხის შეკავება შეუძლია, რუსეთია.

**დასავლეთი აზერბაიჯანის და თურქეთის საფრთხისგან არ დაგვიცავს**

ბესო ბარბაქაძე, **„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი:** „გარეჯის სადავო ტერიტორიაზე ხმას არ იღებენ დასავლელი პარტნიორები. მიზეზი მარტივია: აზერბაიჯანი არ არის რუსეთი. აზერბაიჯანს არ ებრძვის არც ევროპა და არც ამერიკა... იმავე პრობლემის წინაშე აუცილებლად დავდგებით გაისად და დავდგებით ისე, რომ თურქეთისთვის რუსული ფაქტორი შემაკავებელი აღარ იქნება[72]“.

ლევან ჩაჩუა, **ქართული იდეა:** „გამკვირვებია, იმ ე.წ. სტრატეგიული, ევროპელი პარტნიორებისა, რომლებიც განცხადებას განცხადებაზე აკეთებენ რუსეთის წინააღმდეგ და ხმას არ იღებენ აზერბაიჯანის ქმედებებზე. ისინი ხომ ხედავენ, რომ ღიად, უბრძოლველად ხდება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია?![73]“

### 2.3. დასავლეთი პანდემიის საფრთხისგან ვერ დაგვიცავს

ბესო ბარბაქაძე, **„საქართველოს და მსოფლიოს“ ავტორი:** „დასავლეთმა იტალია მიატოვა გაჭირვებაში და წარმოგიდგენიათ, როგორ მოიქცევიან საქართველოს შემთხვევაში?![74]“

### 2.4. ლიბერალური წესრიგი მარცხს განიცდის

ნინო რატიშვილი, **ობიექტივის წამყვანი:** „ლიბერალური სამყარო, რომელმაც დრო მოჭამა[75]“.

გიორგი მდივანი, **„საქართველო და მსოფლიოს“ და „პოლიტიკანოს“ ავტორი:** „ლიბერალური იდეოლოგია მსოფლიოში უკვე კრიზისს განიცდის[76]“.

გიგი მაღლაკელიძე, **პატრიოტთა ალიანსი:** „წარსულს ჩაბარდება და პოლიტიკური ველიდან მთლიანად გავა ეს უმძიმესი, ფსევდო-ლიბერალური... თავსმოხვეული რაღაც გლობალისტური იდეები[77]“.

72 საქართველო და მსოფლიო, 27 თებერვალი https://bit.ly/3cn4ueC
73 საქართველო და მსოფლიო, 9 ივნისი https://bit.ly/3hkaUgK
74 საქართველო და მსოფლიო, 3 ივნისი https://bit.ly/3gXQ1YM
75 ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3944993
76 საქართველო და მსოფლიო, 24 ნოემბერი https://bit.ly/3bwDNFw
77 ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3939451

**საქართველო და მსოფლიო Regnum.ru-ს მიხედვით:** „პუტინი პლანეტაზე ლიბერალიზმის პროექტს ხურავს[78]".

## 2.5. დემოკრატია / სუვერენიტეტი ფიქცია

### ამერიკა/დასავლეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ერევა

ირმა ინაშვილი, **პატრიოტთა ალიანსი:** „ეს ე.წ. კვლევები [NDI/IRI] პირდაპირ უქმნის საშიშროებას ჩვენს სახელმწიფოს და უკვე იქცა სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემად[79]".

ბონდო მძინარაშვილი, **„ობიექტივის" წამყვანი:** **„...სტრატეგიული**, ასე ვთქვათ, **პატრონყმობის** ფორმა უფრო აქვს ამას, მუდმივად თითს გვიქნევენ შეერთებული შტატებიდან[80]".

დავით თარხან-მოურავი, **პატრიოტთა ალიანსი: „საქართველო არ არის კოლონია ამერიკის შეერთებული შტატების, საერთოდ არ არის[81]".**

ჯაბა ხუბუა, **ასავალ-დასავალის ჟურნალისტი: „ათასი ჯურის პომპეუსის მიერ ათიათასგზის აოხრებულ საქართველოს** საკუთარი ისტორიის მანძილზე ძალზედ იშვიათად ჰქონდა ფუფუნება, რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო... ხლესტაკოვსკისგან განსხვავებით, პომპეო ნამდვილი რევიზორია![82]"

ჯაბა ხუბუა, **ასავალ-დასავალის ჟურნალისტი: „აბა, კოლექტიური ტუსკი მართლა ქართული დემოკრატიის განვითარებაზე რომ ზრუნავდეს, მარტო ჟორიკა რურუას პატიმრობაზე კი არ ჩაიციკლებოდა[83]".**

გიორგი გიგაური, **„ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი, ქართული მარში:** „ღიად ერევა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში – სოროსის „ვარდების რევოლუციის" გახსენებაც კმარა![84]"

### ამერიკას არა აქვს მორალური უფლება სხვას ჭკუა ასწავლოს

მარია ზახაროვა, **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერი:** „დრო დადგა პარტნიორმა ქვეყნებმა ამ ყველაფერზე ხმა ამოიღონ... ამერიკელებს არათუ მორალური, არამედ არანაირი უფლება არ აქვთ სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებების დარღვევაზე ისაუბრონ[85]".

78 საქართველო და მსოფლიო, 31 მარტი https://bit.ly/39AJM8u
79 საქინფორმი, 21 იანვარი https://bit.ly/3hNQoqf
80 ობიექტივი, ღამის სტუდია, 13 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3941560
81 ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 იანვარი https://www.myvideo.ge/v/3896730
82 ასავალ-დასავალი, 16-22 ნოემბერი
83 ასავალ-დასავალი, 22-28 ივნისი
84 ასავალ-დასავალი, 3-9 აგვისტო
85 მთავარი არხი, მთავარი, 2 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3938694

**გიგი მაღლაკელიძე, პატრიოტთა ალიანსი:** „დღეს მას [ამერიკას] მორალურად ეს ბერკეტი ერთმევა, ეს მსოფლიო ჟანდარმის და მსოფლიო ჭკუისმასწავლებლის ბერკეტი გამოეცლება ხელიდან[86]".

**ნანა დევდარიანი, პატრიოტთა ალიანსი:** „ჯერ თავიანთ ქვეყანაში ვერ გაურკვევიათ რა ხდება... ამერიკა რომ ითვლებოდა დემოკრატიის, არჩევნების, კანონის უზენაესობის სახელმწიფოდ, ზე სახელმწიფოდ, ირკვევა, რა დღეში ყოფილა იქ ყველაფერი ხომ?[87]".

### 2.6. ასოცირების ხელშეკრულება / ევროკავშირი უსარგებლოა

**გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი:** „დამისახელოს ვინმემ ერთი კონკრეტული სიკეთე და სარგებელი, რომელიც ამ ასოცირების ხელშეკრულებით მიიღეს რიგითმა მოქალაქეებმა... ევროპაში მიდიან მონებად და შავ მუშებად, თორემ მაჩვენეთ თუნდაც ერთი მოქალაქე, რომელიც იტყვის, რომ იქ ნორმალური სამსახური იშოვა[88]".

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი:** „...ლაპარაკი, რომ თურმე ევროკავშირი გაგვიხსნის ბაზარს და ქართული პროდუქცია გრიალ-გრიალით წავა ან კრედიტებს გამოგვიყოფენ და ა.შ. არის ბლეფი[89]".

## III. რუსეთი, როგორც დასავლეთის ალტერნატივა

### 3.1. ნეიტრალიტეტი საქართველო-რუსეთს შორის წინააღმდეგობებს მოხსნის

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „დღეს არის მკაფიოდ მხოლოდ ორი მოთხოვნა [რუსეთის მხრიდან]: სამხედრო მიუმხრობლობა საქართველოსთვის და დერეფანი, რაც მოხსნის ყველა წინააღმდეგობას საქართველო-რუსეთს შორის[90]".

**ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „რატომ უნდა იყოს [საქართველო ნატოს წევრი]?.. **უბლოკო სტატუსი** ნიშნავს იმას, რომ მე საქართველოს ტერიტორიაზე არ მინდა უცხო ქვეყნის ჯარი იყოს, რუსეთის ჯარი ამ შემთხვევაში, რომელიც უკანონოდ არის საქართველოს ტერიტორიაზე[91]".

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „დღეს რუსეთი ითხოვს ერთ რამეს, ერთადერთს! ის ამბობს, რომ საქართველო ნუ იქნება ჩართული ნურანაირ წინააღმდეგობაში რუსეთის მიმართ[92]".

86 ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3939450&rc=1
87 ობიექტივი, ღამის სტუდია, 9 ნოემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=3984162
88 საქართველო და მსოფლიო, 17 ივნისი https://bit.ly/2AAyi9D
89 საქართველო და მსოფლიო, 18 მარტი https://bit.ly/2wge8iP
90 ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 21 ივლისი
91 სააგენტო პირველი, 3 ოქტომბერი https://bit.ly/3hrdjaw
92 ობიექტივი, 22 ოქტომბერი https://www.myvideo.ge/v/3978633

### 3.2 მეზობელი ქვეყნებისგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია

დიტო ჩუბინიძე, **„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი:** „ისტორიამ დაამტკიცა, რომ საქრთველოში რუსის ხიშტმა ყოველთვის აჯობა თურქის იატაგანს... მწარე სიმართლეა ისიც, რომ, თუ არა ოკუპანტი რუსეთი, ოკუპანტ თურქეთს ქართველი მიწების უფრო დიდი პროცენტი ექნებოდა მიტაცებული და ოკუპირებული[93]“.

ვაჟა ოთარაშვილი, **პატრიოტთა ალიანსი:** „ვფიქრობ, რომ რუსეთი დღესაც ერთგვარ გეოპოლიტიკურ მფარველად უნდა განვიხილოთ; რომ არა რუსეთის ფაქტორი, თურქეთი თავისუფლად შემოვიდოდა აჭარაში და 24 საათში დაიპყრობდა რეგიონს[94]“.

ჯაბა ჟვანია, **„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი:** „გეთანხმებით, რომ **ქრისტიანულ ფესვებს მოწყვეტილ „ლიბერალურ“ დასავლეთს აგრესიული ისლამური ექსპანსიის შეჩერება არ შეუძლია**[95]“.

ვლადიმერ ხომერიკი, **რუს და ქართველ ხალხთა ერთობის ფონდი:** „თუ სააკაშვილმა ეს მოახერხა [რუსეთთან ახალი ომი] საქართველო აუცილებლად დაკარგავს ჯავახეთსა და ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს – სომხეთისა და აზერბაიჯანის სასარგებლოდ, ასევე ყარსის ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ დიდი საფრთხე დაემუქრება თურქეთიდან აჭარას, რომლის **ერთადერთი შემაკავებელი რუსეთია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო შეიძლება, პოლიტიკური რუკიდან გაქრეს და მისი ტერიტორიები სხვა ქვეყნებმა გადაინაწილონ**[96]“.

დავით თარხან-მოურავი, **პატრიოტთა ალიანსი:** „რუსეთის სამშვიდობოები აღმოჩნდნენ ყარაბაღში. **რუსეთმა სომხეთსაც გააგებინა და აზერბაიჯანსაც გააგებინა, რომ მე ვარ აქ მთავარი,** იმიტომ, რომ აზერბაიჯანიც ვერ დაიბრუნებდა ვერაფერს, რომ არ ყოფილიყო რუსეთის ნებართვა და თანხმობა, და სომხებსაც რომ ნდომებოდათ რუსებს, დაიცავდნენ, მაგრამ არ დაიცვეს იმიტომ, რომ, რაც პაშინიანი გახდა პრეზიდენტი, სომეხი გენერლების თანამშრომლობა რუსეთთან შეწყდა, ყველანაირი თანამშრომლობა[97]“.

### 3.3. აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ რუსეთთან პირდაპირი დიალოგითაა შესაძლებელი

ვაჟა ოთარაშვილი, **პატრიოტთა ალიანსი:** „აუცილებელია პირდაპირი დიალოგი და ბლეფია ის, რომ ჩვენს პრობლემებს ამერიკა ან ევროპა მოაგვარებს. ჩვენ, კიდევ ვიმეორებ, ერთი-ერთზე, პირდაპირ, შუამავლების გარეშე უნდა ველაპარაკოთ ჩრდილოელ მეზობელს. ეს დიალოგი სჭირდება არა მხოლოდ საქართველოს, რუსეთსაც, იმიტომ, რომ რუსეთიც მართლმადიდებელი ქვეყანაა და მისთვის ძალიან მძიმე ტვირთია პატარა მართლმადიდებელ საქართველოსთან დაპირისპირება[98]“.

93 ასავალ-დასავალი, 28 სექტემბერი – 4 ოქტომბერი
94 საქართველო და მსოფლიო, 10 ნოემბერი https://bit.ly/3fPqGk8
95 საქართველო და მსოფლიო, 15 ივლისი https://bit.ly/2Opfn4z
96 ასავალ-დასავალი, 27 ივლისი – 2 აგვისტო
97 ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 24 ნოემბერი https://www.myvideo.ge/v/3988600
98 საქართველო და მსოფლიო, 22 იანვარი https://bit.ly/2NPwqx0

### 3.4. პანდემიისგან ხსნა ავტორიტარულ ქვეყნებს / საბჭოთა მედიცინას ძალუძს

**ვალერი კვარაცხელია, ნეიტრალური/სოციალისტური საქართველო:** „ამ გლობალური ავანტიურის პირველი მსხვერპლი ჩინეთის სოციალისტური ეკონომიკა უნდა ყოფილიყო და კაპიტალისტური ლეგალური ბანდიტიზმი მსოფლიოში უალტერნატივოდ დარჩებოდა... მოხდა დაუჯერებელი რამ. ჩინეთმა უმოკლეს დროში დაამარცხა კორონავირუსი, რასაც არავინ მოელოდა. მეტიც, მან უცნაური რიკოშეტით აისხლიტა იგი და მასობრივი სიკვდილის მთესველი ეს ბიოუბედურება ამერიკასა და მის უთავმოყვარო ვასალად ქცეულ ევროპას ბუმერანგის ეფექტით უკანვე მიუბრუნდა[99].“

**ნიკა კორინთელი, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი:** „საკარანტინო რეჟიმიდან გამოდის კიდევ ერთი არადასავლური ქვეყანა – რუსეთი, რომელშიც გაიხსენეს საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის გამოცდილება... ეს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების ეფექტიანობის შედეგია, რომლებშიც ექსტრემალური სიტუაციებისას “საზოგადოება ერთობლივად მუშაობს[100]“.

### 3.5. რუსეთი მესამე რომია, რომელიც დასავლეთის მორალური ოკუპაციისგან გვიცავს

**დავით მხეიძე, საქართველო და მსოფლიოს ავტორი:** „პოლიტიკური მოვლენები ისე შეიძლება განვითარდეს, რომ საქართველო აღმოჩნდეს საბედისწერო არჩევანის წინაშე **– ან რომის პაპი, ე.ი. უღმერთო დასავლეთი და ან მესამე რომი - ერთმორწმუნე რუსეთი**[101]“.

**დავით მხეიძე, საქართველო და მსოფლიოს ავტორი:** „თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო (ისლამური სამყაროს გამოკლებით) მეტ–ნაკლებად ლიბერასტულია, გამოდის, რომ მსოფლიო ებრძვის ტრადიციული იდეოლოგიის, ღირებულებების დამცველ რუსეთს“... „ბატკას“ [ლუკაშენკოს] მარცხი ლიბერასტების გამარჯვებას ნიშნავს, ხოლო მათი გამარჯვება – მართლმადიდებელი რუსეთის მარცხს[102]“.

### 3.6. საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად სტაბილური და სოციალურად დაცული სისტემა იყო

**გიორგი გიგაური, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი, ქართული მარშის წევრი:** „ბელორუსები თავიანთი „ბატკოს“ მართლა მადლიერები არიან, რადგან მან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთზე ბევრად უკეთესადაც კი შეინარჩუნა ყველა ის სიკეთე, რასაც ხალხს საბჭოთა სოციალისტური წყობა აძლევდა[103]“.

[99] ასავალ-დასავალი, 23 -29 მარტი
[100] საქართველო და მსოფლიო, 3 ივნისი https://bit.ly/3eZIvfr
[101] საქართველო და მსოფლიო, 27 ოქტომბერი https://bit.ly/3fqHNIS
[120] საქართველო და მსოფლიო, 23 სექტემბერი https://bit.ly/2QIqOix
[103] ასავალ-დასავალი, 6-12 აპრილი

გიორგი მდივანი, **საქართველო და მსოფლიოს და პოლიტიკანოს ავტორი: „ბელარუსმა საბჭოთა ინსტიტუტები შეინარჩუნა.** დღედაღამ მუშაობს ქარხნები... ბევრი ლიბერალი შურით სკდება, მაგრამ მათ ვეტყვი: „ფერადი რევოლუციების“ დასავლელმა პოლიტტექნოლოგებმა უნდა დახვეწონ მეთოდები, ყვავილები, ცოცხალი ჯაჭვები და ოდები თავისუფლებაზე მოძველდა უკვე[104]“.

## 3.7. საქართველო ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსულ ბაზარზე

გულბაათ რცხილაძე, **ევრაზიის ინსტიტუტი:** „ჩნდება შეკითხვა – სანამ ჩვენ ევროკავშირში შესვლას ველოდებით და გვაქვს იმედი, რომ ჩვენი მოქალაქეები იქ ლეგალურად შეძლებენ მუშაობას, რაც, რა თქმა უნდა, სრული ილუზიაა, ხომ არ ჯობია, ცოტა გვერდითაც გავიხედოთ და ვიფიქროთ ამ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციაზე?[105]“

საქინფორმი: „...ერთი მხრივ, საქართველო არსებობს რუსეთის ხარჯზე, რომელიც ლიდერობს ფულადი გზავნილებისა და ტურისტების რაოდენობით საქართველოში და პროდუქციის იმპორტით საქართველოდან, და მეორეს მხრივ, საქართველო მონაწილეობს საეჭვო ავანტიურაში [ნატოს სამხედრო წვრთნები ევროპაში], რომელიც რუსეთს აიძულებს, დიდი ხარჯები გაიღოს?![106]“

დავით თარხან-მოურავი, **პატრიოტთა ალიანსი: „ჩვენ სარგებელს ვიღებდით რუსეთის ეკონომიკის ხარჯზე** და ეხლა თურქეთი, ჩვენზე გაცილებით ძლიერი სახელმწიფო, ჩვენი ეკონომიკით სარგებლობს[107]“.

[104] საქართველო და მსოფლიო, 19 აგვისტო https://bit.ly/3yoP2Zk
[105] საქართველო და მსოფლიო, 1 დეკემბერი https://bit.ly/3heWKj0
[106] საქინფორმი, 23 იანვარი https://bit.ly/3xitDAX
[107] ობიექტივი, ღამის სტუდია-ყველას გასაგონად, 11 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/3958936

# 4. მცდარი დილემის ტექნიკა და ტერმინოლოგია

პროპაგანდის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც მონიტორინგის სუბიექტები ბოლო წლებია აქტიურად იყენებდნენ, მცდარი დილემის ტექნიკაა.

**მცდარი დილემის ტექნიკა ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას.**

ქვემოთ მოყვანილი მცდარი დილემის მაგალითები, რომლებიც 2020 წელს გამოვლინდა, რელიგიისა და სექსუალური იდენტობის დიქოტომიას ძირითადად საგარეო პოლიტიკური პრეფერენციების ჭრილში მცდარად ქმნიდა:

### მცდარი დილემა

| | |
|---|---|
| **ჭაბა ხუბუა,** **ჟურნალისტი:** „ადამიანები ამბობენ – თუ რუსეთი, საკუთარი აგენტების მეშვეობით, ჩვენს ეროვნულობას, ტრადიციებს, რწმენასა და დედა ეკლესიას იცავს, მაშინ გაუმარჯოს რუსეთს, | ხოლო, თუ დასავლეთი მამათმავლობას, სოდომისტურ აღლუმებსა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გვახვევს თავს, მაშინ ძირს დასავლეთი!“ ასავალ-დასავალი, 15-29 ოქტომბერი |
| **ალექსანდრე ჭაჭია,** **„საქართველო და მსოფლიოს“ გამომცემელი:** „...თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, | მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების“ განუყოფელი ნაწილია, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელი“. საქართველო და მსოფლიო, 7 ოქტომბერი[108] |

[108] https://bit.ly/3fbLWRS

**სანდრო ბრეგაძე,**
**ქართული მარში:**
„თუ დავით გარეჯის და საქართველოს (?) ტერიტორიული მთლიანობის დაცვა კრემლის ინტერესები არის და მამათმავლების დაცვა, არის დასავლური პოლიტიკა, მაშინ ყველაზე დიდ დისკრედიტაციას დასავლეთს უკეთებენ ის ხალხი, ვინც ამას ამბობენ და ლაპარაკობენ“.

მარშალპრესი,
9 ოქტომბერი[109]

დიქოტომია მართლმადიდებელი რუსეთი უღმერთო და უზენო დასავლეთის საპირწონედ ტერმინოლოგიასა და ცალკეულ ფრაზებშიც აისახა.

## დიაგრამა 16. რელიგიურ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები

### რელიგიური / ეროვნული იდენტობა




### სექსუალური იდენტობა




[109] https://mpn.ge/archives/34462

# 5. დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი

2020 წელს, ფაქტების გადამოწმების პლატფორმის – „მითების დეტექტორის“ ფარგლებში, მედიის განვითარების ფონდმა 449 ტიპის დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი გამოავლინა. ტრადიციული მედია საშუალებების გარდა, მედიის განვითარების ფონდი ყალბი და მანიპულაციური ინფორმაციის მოძიებას სოციალურ ქსელებში როგორც Crowdtangle-ის ანალიტიკური ხელსაწყოს მეშვეობით, ასევე ფეისბუქთან პარტნიორობის ფარგლებში (Third-Party Fact-Checking Program) ახორციელებდა. გარდა ამისა, გადამოწმებული მონაცემები მოიცავს, აგრეთვე, მკითხველის მიერ მოწოდებულ მედია გაშუქების შემთხვევებსაც. „მითების დეტექტორმა“ 2020 წელს შემდეგი ტიპის დარღვევები გამოავლინა:

| დეზინფორმაცია და მანიპულაცია | 449 |
|---|---|
| დეზინფორმაცია | 162 |
| მანიპულაცია | 107 |
| მტკიცებულებების გარეშე | 21 |
| შეცდომაში შემყვანი | 13 |
| ნაწილობრივ მცდარი | 9 |
| ვიზუალური (ფოტო/ვიდეო) მანიპულაცია | 87 |
| კონსპირაცია | 54 |
| გაყალბებული ციტატა | 28 |
| სატირა | 11 |
| ცრუ მკურნალობა | 11 |
| გაყალბებული სტატისტიკა | 1 |
| სულ | 449 |

შენიშვნა: „მითების დეტექტორის“ მიერ გამოქვეყნებული სტატიების ნაწილს რამდენიმე კატეგორია აქვს მინიჭებული და, შესაბამისად, ცხრილში მოცემული მონაცემების ჯამი აღემატება სტატიების საერთო რაოდენობას.

თემატიკის თვალსაზრისით ყველაზე მეტი დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი (233) ჯანდაცვას და ბიუსაფრთხოებას უკავშირდებოდა, რაც კოვიდის პანდემიით იყო განპირობებული, რასაც მოსდევს პოლიტიკის თემატიკა (105), რომელიც საარჩევნო პროცესის გამო შიდაპოლიტიკურ დეზინფორმაციასაც მოიცავს და დეტალურად ცალკეს სპეციალურ ანგარიშშია განხილული[110]. იდენტობის (40), ისტორიისა (31) და თავდაცვა/უსაფრთხოების (19) შესახებ გადამოწმებული მტკიცებულებები პირველ ორ თემატიკას ჩამორჩება, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

## დიაგრამა 16. დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის თემატიკა




მედიებიდან ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია გამოცემა “News Front საქართველომ” (49), „საქართველო და მსოფლიომ“ (37), „თვალსაზრისმა“ (25), „ალიამ“ (20), „სპუტნიკ საქართველომ“ (19) და ტვ ობიექტივმა (17) გაავრცელეს; სოციალური მედიიდან – ფეისბუქ გვერდებმა „სტალინი“ (12) „კარდჰუ“ (10) და „პოლიტიკანო“ (8); პარტიებიდან – „პატრიოტთა ალიანსმა“ (18).

[110] მედიის განვითარების ფონდი (2020), წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020 – ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/191

## დეფლექციური წყაროს მოდელი და სატირული პირველწყაროები

წინა წლების მსგავსად სოციალურ ქსელებში ინფორმაციის ვირუსულად გასავრცელებლად კვლავ აქტიურად გამოიყენებოდა დეფლექციური ანუ რეალური წყაროს არიდების მოდელი[111], როცა გზავნილის ან ყალბი ინფორმაციის ლეგიტიმაციის მიზნით, რეალური წყაროს დამალვა ხდება. დეფლექციური წყაროს ერთ-ერთი გამოვლინებაა ცნობილი დასავლური მედია ბრენდების კლონირებული საიტების შექმნა, როცა სოციალურ ქსელებში მზარდი ინფორმაციის მოზღვავების პირობებში მედიის მომხმარებელზე ბრენდის ცნობადობა ახდენს გავლენას და ამ გზით მისი შეცდომაში შეყვანა ხდება. პანდემიის დროს „მითების დეტექტორმა" ცნობილ ამერიკულ ბრენდებს CNN-ს, ABC-ს და ბრიტანულ BBC-ის მიმსგავსებული ონლაინ გამოცემები გამოავლინა, რომელთაგან, CNN-ის და BBC[112]-ის IP მისამართები სანქტ-პეტერბურგში იყო განთავსებული. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული წყაროები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, თითქოს ჰარვარდის პროფესორი ჩარლზ ლიბერი კორონავირუსის ხელოვნურად შექმნის გამო დააკავეს[113].




## სატირული პირველწყაროები

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც დეზინფორმაციის გასავრცელებლად წინა წლების მსგავსად გამოიყენებოდა, სატირული პირველწყაროების გამოგონილი ამბების რეალურ ინფორმაციად გამოქვეყნება იყო. ამ დროს არ ხდებოდა მითითება, რომ ამბავი გამოგონილი იყო და ის აუდიტორიის შეცდომაში შეყვანას ახდენდა.

111 Garth Jowett, Victoria O'Donnell (2005). Propaganda and Persuasion, Sage

112 მითების დეტექტორი, 15 აპრილი, 2020, დეზინფორმაციის „რუსული კლასტერი" და „შიდა გავრცელება" საქართველოში http://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsiis-rusuli-klasteri-da-shida-gavrtseleba-sakartveloshi

113 მითების დეტექტორი, 8 აპრილი, 2020. ყალბი BBC, CNN, ABC-ის დეზინფორმაცია, თითქოს ჰარვარდის პროფესორი COVID-19-ის შექმნის გამო დააკავეს http://mythdetector.ge/ka/myth/qalbi-bbc-cnn-abc-dezinpormatsia-titkos-harvardis-propesori-covid-19-shekmnis-gamo-daakaves

| სატირულ-იუმორისტული პირველწყარო | გამოგონილი ამბავი | გაშუქდა, როგორც რეალური |
|---|---|---|
| World News Daily Report | ჰილარი კლინტონს, აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს და ყოფილ სახელმწიფო მდივანს სექსუალური კავშირი ჰქონდა იოკო ონოსთან, ჯონ ლენონის მეუღლესთან[114] | • მარშალპრესი |
| panorama.pub | ჰენრი კისინჯერმა განაცხადა: „ჩვენ გვქონდა მხოლოდ სექსი, მათ კი (საბჭოთა ადამიანებს) ჰქონდათ სიყვარული[115]". | • gnn.ge<br>• Geworld.ge |
| panorama.pub | შვეიცარიის ფედერალურმა ანსამბლეამ მხარი დაუჭირა ვაქცინაციის 5 წლით შეწყვეტას და მიზეზად ადამიანების ჯანმრთელობისთვის წითურას, ყვავილის და სხვა აცრების მიერ გამოწვეული ზიანი დაასახელა[116] | • პროგრესნიუსი<br>• megatv.ge |
| panorama.pub | ჯანმო-ს მაღალჩინოსანი ბროკოლით დაიხრჩო – რაიან პატერსონი კოვიდ-19-ზე სენსაციური ინფორმაციის გამჟღავნებას გეგმავდა[117] | • პროგრესნიუსი |
| World News Daily Report | ბელგიის ჯანდაცვის მინისტრმა სამ და მეტ პირს შორის სექსუალური ურთიერთობები აკრძალა[118] | • პროგრესნიუსი<br>• მარშალპრესი<br>• presa.ge<br>• readtime.ge<br>• Newpost.ge<br>• alia.ge<br>• For.ge<br>• info9.ge<br>• msoflio.ru |

114 მითების დეტექტორი, 11 ივნისი, 2020. „ჰქონდა თუ არა ჰილარი კლინტონს სასიყვარულო ურთიერთობა იოკო ონოსთან?" https://bit.ly/3696t4g

115 მითების დეტექტორი, 18 სექტემბერი, 2020 „ეკუთვნის თუ არა კისინჯერს სიტყვები: „ჩვენ გვქონდა მხოლოდ სექსი, მათ კი (საბჭოთა ადამიანებს) ჰქონდათ სიყვარული"?" https://bit.ly/3z1q4jj

116 მითების დეტექტორი, 19 მაისი, 2020. „აიკრძალა თუ არა შვეიცარიაში ვაქცინაცია და ვინ არის მამა ესკობარი?" https://bit.ly/3ykG0wL

117 მითების დეტექტორი, 13 აპრილი, 2020. „დაიხრჩო თუ არა ჯანმოს მაღალჩინოსანი ბროკოლით?" https://bit.ly/2Uel0ca

118 მითების დეტექტორი, 26 მარტი, 2020. „აკრძალეს თუ არა კორონავირუსის გამო ბელგიაში ჯგუფური სექსი?" https://bit.ly/3qFdy65

| სატირულ-იუმორისტული პირველწყარო | გამოგონილი ამბავი | გაშუქდა, როგორც რეალური |
|---|---|---|
| panorama.pub | ბელგიაში ტრადიციული ოჯახური ღირებულებების პროპაგანდა დასჯადი გახდა[119] | • საქინფორმი<br>• ტვ ობიექტივი (დავით-თარხან მოურავი) |
| panorama.pub | ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა სტალინს ფხენიანის ომის გმირების პარკში ძეგლი დაუდგა[120] | • სტალინი |
| dosier-venezuela.press | ვენესუელურ ვებ-გვერდზე dosier-venezuela.press ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს ფინანსებთან დაკავშირებით „სკანდალური ინფორმაცია“ გამოქვეყნდა[121] | • ტვ ობიექტივი<br>• tinp.ge<br>• პატრიოტთა ალიანსი |
| World News Daily Report | მამაკაცი, რომელიც დათვმა დაგლიჯა, კორონავირუსით გარდაცვლილად გამოაცხადეს[122] | • metronome.ge<br>• newposts.ge |
| panorama.pub | რომის პაპმა მრევლს ჩიპიზაციისკენ მოუწოდა[123] | • საინფორმაციო პორტალი „ქართული აზრი“<br>• itar.ge<br>• n.videosports.ge<br>• arxi.ge |

119 მითების დეტექტორი, 21 თებერვალი, 2020. „რა მესიჯებს იღებს „პატრიოტი“ თარხან-მოურავი რუსული სატირული panorama.pub-იდან?“ https://bit.ly/3w77owJ
მითების დეტექტორი, 19 თებერვალი, 2020. „როგორ იქცა რუსული „სატირა“ საქინფორმის დეზინფორმაციად?“ https://bit.ly/3ycLKIP

120 მითების დეტექტორი, 20 თებერვალი, 2020. „დაუდგა თუ არა კიმ ჩენ ინმა სტალინს ჩრდილოეთ კორეაში ძეგლი?“ https://bit.ly/3jAwfWZ

121 მითების დეტექტორი, 2 სექტემბერი, 2020. „ინაშვილი რუსულ ფულზე დოსიეს ბრალდებებს სატირით და 3 დღის შექმნილი ვენესუელური დოსიეთი პასუხობს“ https://bit.ly/3qGwYHG

122 მითების დეტექტორი, 30 სექტემბერი, 2020. „განახლება: მიაწერენ თუ არა დათვის თავდასხმით გარდაცვალებას კორონავირუსს?“ https://bit.ly/3hrah5Z

123 მითების დეტექტორი, 11 მაისი, 2020. „რა სქემით გავრცელდა კონსპირაცია რომის პაპსა და ჩიპებზე?“ https://bit.ly/365yuJW

# 6. საგარეო გავლენის აქტორები

კრემლის საგარეო გავლენის აქტორები და მათი საკომუნიკაციო არხები საქართველოში ფრაგმენტიზებულია და პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ გარკვეულ კორექტირებას განიცდიან.

## პატრიოტთა ალიანსი და მასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო არხები

თუ 2014[124]-2016[125] წლებში ანტიდასავლური გზავნილების მხრივ ღიად პრორუსული საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერი პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ ლიდერობდა, 2018 წლიდან[126] ამ მხრივ „პატრიოტთა ალიანსი“ დაწინაურდა. თუ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ღიად გაცხადებული პრორუსული საგარეო კურსი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდა, „პატრიოტთა ალიანსმა“ ამომრჩეველთა კონსოლიდირება თურქოფობიური და ისლამოფობიური გზავნილებით მოახდინა. საპარლამენტო მანდატების მოპოვებისთანავე კი კრემლის საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის გახმოვანება უფრო გაცხადებულად დაიწყო, რაც კრემლისთვის საკვანძო შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

1. სამხედრო ნეიტრალიტეტის შესახებ ინიციატივა,
2. ჟენევის მოლაპარაკებების საერთაშორისო ფორმატის უგულებელყოფა და დასავლეთის ჩარევის გარეშე კონფლიქტების რუსეთთან პირისპირ დიალოგის გზით გადაწყვეტა,
3. მიზანმიმართული კამპანიები ნატოს და ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების წინააღმდეგ.

„პატრიოტთა ალიანსის“ რუსულ კავშირებზე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჟურნალისტური გამოძიება[127] მიხეილ ხოდორკოვსკის საგამოძიებო პროექტმა „დოსიე ცენტრმა“ გამოაქვეყნა, რომელიც გენერალ ვლადიმერ ჩერნოვის სამდივნოდან მოპოვებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ კრემლი ალიანსს ფინანსურად და საარჩევნო სტრატეგიის დაგეგმვაში ეხმარებოდა, ამ მიზნით კი პოლიტიკური სტრატეგი სერგეი მიხეევი და მოსკოვში მოქმედი კომპანია POLITSECRETS დაუქირავა.

124 მედიის განვითარების ფონდი (2015). ანტიდასავლური პროპაგანდა 2014-2015 http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/15
125 მედიის განვითარების ფონდი (2017). ანტიდასავლური პროპაგანდა 2016 http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/65
126 მედიის განვითარების ფონდი (2019). ანტიდასავლური პროპაგანდა 2018 http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/119
127 Центр «Досье» (2020), Как Кремль вмешивается во внутреннюю политику соседних стран, Часть первая: выборы в Грузии https://bit.ly/3jUI0I0

„პატრიოტთა ალიასთან“ არის დაკავშირებული ტელეკომპანია „ობიექტივი“, რომლის სარედაქციო პოლიტიკა პარტიის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებთან თანხვედრაშია. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების შემდეგ, როცა პატრიოტთა ალიანსმა ხმების მხოლოდ 3,14% მოიპოვა და წინა არჩევნებზე დაბალი მაჩვენებელი აჩვენა, პარტიის ლიდერმა ირმა ინაშვილმა 2021 წლიდან ტვ „ობიექტივის“ ეთერში საკუთარი პოლიტიკური თოქ-შოუს წაყვანა დაიწყო, რა დროსაც დასავლეთის მიერ ეკლესიის და რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე ახდენს ფოკუსირებას[128].

ტვ „ობიექტივის“ გარდა, „პატრიოტთა ალიანსთან“ სოციალურ ქსელში გაკრვეული ანგარიშები იყო დაკავშირებული[129], რომელთა ნაწილი 2020 წლის შემოდგომაზე კოორდინირებული არაავთენტური ქმედებების (CIB)[130] გამო ფეისბუკმა წაშალა, მათ შორის Tinp.ge – დღეს პოლიტიკაში, რომელიც საარჩევნო პროცესში იყო ჩართული და პარტიული ხაზის შესაბამისად NDI-ისა და IRI-ის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიაში მონაწილეობდა[131].

## ქართული მარში

კიდევ ერთი პარტია, რომელიც რუსეთის მხრიდან საქართველოს არჩევნებში ჩარევის კონტექსტში დასახელდა, „ქართული მარში“ იყო: ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის 2020 წლის ანგარიშში[132] „ქართული მარში“ მოხსენიებულია როგორც ქოლგა ორგანიზაცია ექსტრემისტული მოძრაობებისთვის, რომლის მიზანია დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ ღირებულებით დისკურსზე აპელირებით „ძირი გამოუთხაროს ევროკავშირსა და NATO-ში – დაახლოებით 15 წლის განმავლობაში არსებული საგარეო პოლიტიკური კონსენსუსის – გაწევრიანების საზოგადოებრივ მხარდაჭერას“.

მარშის რუსეთთან კავშირებზე 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ფარული აუდიოჩანაწერი გავრცელდა, რომელშიც გაერთიანების ლიდერი, სანდრო ბრეგაძე, სავარაუდოდ, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრს და რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ყოფილ თანამშრომელს იგორ მოროზოვს საქართველოში რუსული გაზის გაყიდვასა და რუს ბიზნესმენებთან კავშირებზე ესაუბრებოდა.[133] ღია წყაროებით ასევე იძებნება 2017 წლის ფოტო[134], რომელზეც „ქართული მარშის“ წევრები ღიად პრორუსული ორგანიზაცია „ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ირემაძესთან, ასევე ამჟამად ალტ-ინფოს მფობელ კონსტრანტინე მორგოშიასთან და „ქართული მისიის“ წარმომადგენლებთან ერთად არიან.

128 მითების დეტექტორი (2021), „რადიკალიზაცია რელიგიის სახელით და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ – ვინ რისთვის იყენებს ღირსების მარშს?“ http://mythdetector.ge/ka/research/radikalizatsia-religiis-sakhelit-da-politikuri-oponentebis-cinaaghmdeg-vin-ristvis-iqenebs

129 მითების დეტექტორი, 12 მარტი, 2020. „დაუკავშირდით ნამდვილ ოპოზიციას!“ – პატრიოტთა ალიანსთან და სხვა ანტიდასავლურ ჯგუფებთან დაკავშირებული FB ანგარიშები http://mythdetector.ge/ka/myth/daukavshirdit-namdvil-opozitsias-patriotta-alianstan-da-skhva-antidasavlur-jgupebtan

130 რადიო თავისუფლება, 6 ნოემბერი, 2020. „ფეისბუკმა“ წაშალა „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული ანგარიშები და გვერდები https://www.radiotavisupleba.ge/a/30934069.html

131 მითების დეტექტორი, 26 აგვისტო, 2020. NDI-ის და IRI-ის საწინააღმდეგო რეკლამა Tinp.ge-ზე $1000 -1500 ღირს http://mythdetector.ge/ka/myth/ndi-da-iri-sacinaaghmdego-reklama-tinpge-ze-1000-1500-ghirs

132 International Security and Estonia 2019 გვ 51 https://www.valisluureamet.ee/pdf/raport-2020-en.pdf

133 On.ge, 21 სექტემბერი, 2020. ბრეგაძეს ჩანაწერში რუსეთის ნდობას ჰპირდებიან, ის საუბარს ადასტურებს, თუმცა დამონტაჟებულს უწოდებს https://bit.ly/3wznX4q

134 გიორგი ირემაძის ფეისბუკ პროფილი https://www.facebook.com/photo?fbid=1151515604981502&set=t.100003692209282




„ქართული მარში“ პოლიტიკურ პარტიად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დარეგისტრირდა და წინასაარჩევნო პერიოდში ლიბერალური კანონმდებლობის გაუქმებისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით გამოდიოდა. პარტიამ, რომლის სიაში სიძულვილის ენით გამორჩეული გაზეთის „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი გიორგი გიგაური იყო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერი ვერ გადალახა.

ულტრა-ნაციონალისტური მოძრაობა „ქართული მარშის“ გამოჩენა 2017 წლის ზაფხულში მიგრანტების საწინააღმდეგო აქციებს უკავშირდება, როცა მოძრაობა ირანელებს, არაბებს და აფრიკელებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებდა[135]. 2018 წელს ქართულმა მარშმა „სახალხო პატრული[136]“ შექმნა, რომელიც აფრიკიდან და აზიიდან ჩამოსული მიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოვლენას ისახვდა მიზნად. მარშის წევრები „რუსთავი2“-ის ჟურნალისტზე ფიზიკურ ძალადობასა და გეი თემაზე შექმნილი ფილმის ჩვენების აკრძალვის ძალადობრივ ქმედებებში ლევან ვასაძესთან და სხვა რადიკალურ ჯგუფებთან ერთად იყვნენ ჩართული[137]. „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ყოფილი მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძეა.

## ლევან ვასაძე, ალტ-ინფო და ალტერნატივა საქართველოსთვის

კიდევ ერთი რადიკალურ-ექსტრემისტული დაჯგუფების ლიდერი, რომელსაც კავშირები აქვს რუსეთთან და რუსეთის ეკლესიასთან, ბიზნესმენი ლევან ვასაძეა. ვასაძემ, რომელმაც 2021 წელს პოლიტიკური პარტია „ერთობა, რაობა, იმედი“ დააფუძნა, 2020 წლის ჩათვლით მონიტორინგში დამოუკიდებელ სუბიექტად ფიგურირებს.

[135] მედიის განვითარების ფონდი (2017), FACEBOOK-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი „ქართველთა მარშის“ წინ http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/71

[136] On.ge, 5 მარტი 2018. ნეონაცისტური დაჯგუფების, ქართული მარშის სახალხო პატრული ქალაქში 10 დღეა მოძრაობს https://bit.ly/3e4za6y

[137] Civil.ge, 3 ივლისი, „ულტრანაციონალისტური მოძრაობა „ქართული მარში“ პოლიტიკურ პარტიად გადაკეთდა“ https://civil.ge/ka/archives/358253

ვასაძე საქართველოში ქრისტიანულ-ევანგელისტური ორგანიზაცია მსოფლიო საოჯახო კონგრესის (WCF) წარმომადგენელია, რომელიც „ბუნებრივი ოჯახის“ დაცვის სახელით, ლგბტ უფლებების გავრცელების წინააღმდეგ იბრძვის. ოჯახების კონგრესი ასევე დაკავშირებულია ამერიკის და აშშ-ს მიერ ყირიმის მოვლენების გამო სანქცირებულ რუს ოლიგარქ კონსტანტინ მალოფეევთან, ასევე ალექსეი კომოვთან, რომელიც ამერიკაში დაფუძნებული ორგანიზაციის, ოჯახების მსოფლიო კონგრესის (WCF) ოფიციალური წარმომადგენელია რუსეთში[138] და „ევრაზიანისტული მოძრაობის“ ლიდერ ალექსანდრ დუგინთან. დუგინთან მჭიდრო კავშირები აქვს თავად ვასაძესაც, რომლის ტელეარხ „ალტ-ინფოზე“ დუგინს ხშირად იწვევენ[139].

2021 წელს თბილისი პრაიდის (Tbilisi Pride) ჩატარების წინააღმდეგ ძალადობაში ვასაძესთან დაკავშირებული ჯგუფები, ასევე ტელეარხ „ალტ-ინფოს“ წამყვანები იყვნენ ჩართული. 2019 წელს პრაიდის წინააღმდეგ კი ვასაძე „სახალხო ლეგიონის“ ჩამოყალიბების ინიციატივით გამოვიდა, რომელსაც დაგეგმილი ღონისძიების პერიოდში ქალაქში პატრულირება უნდა განეხორციელებინა[140].

**ალტ-ინფო.** მას შემდეგ, რაც ფეისბუქმა 2020 წელს ალტ-ინფოსთან დაკავშირებული ანგარიშები კოორდინირებული არაავთენტური ქმედების გამო წაშალა[141], ალტ-ინფომ საეთერო მაუწყებლობის ლიცენზია მოიპოვა და ეთერში 2021 წლიდან გავიდა. „ალტ-ინფოს“ მფლობელი კონსტანტინე მორგოშიას მამიდა ციალა მორგოშია (50%), ასევე გადაცემის წამყვანი შოთა მარტინენკოა (50%).

**ალტერნატივა საქართველოსთვის.** კონსტანტინე მორგოშიამ, რომელიც ვასაძის და ალტ-ინფოს ჯგუფთან არის დაკავშირებული, 2019 წელს ორგანიზაცია „ალტერნატივა საქართველოსთვის[142]“ დაარეგისტრირა, რომლის დამფუძნებელთა შორის მასთან ერთად „ალტ-ინფოს“ წამყვანები შოთა მარტინენკო და რუსეთის მოქალაქე გიორგი ქარდავაა, ასევე მარტინენკოს საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებული ირაკლი ყიზილაშვილი.

მორგოშია 2019 წლამდე „ქართული მარშის“ წევრი იყო, 2016 წელს კი „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით მცხეთის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს.

## ლევან ჩაჩუა, ზურამ ფალავანდიშვილი – ქართული იდეა

კიდევ ერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც ეთნონაციონალისტურ და იდენტობასთან დაკავშირებულ თემებზე სპეკულირებს და კრემლისტური აქტორების ორბიტაზეა, „ქართული იდეაა“. პარტიის თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი იყო და 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიაში“ ექსტრემისტული ქმედებების გამო, კერძოდ, პირდაპირ ეთერში შეჭრისა და ძალადობის საფუძველზე დააკავეს[143]. 2012 წელს ახლადარჩეულმა პარლამენტმა ლევან ჩაჩუა პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა.

138 მითების დეტექტორი, 28 მაისი, 2018. ოჯახების მსოფლიო კონგრესის რუსული კავშირები http://mythdetector.ge/ka/myth/ojakhebis-msoplio-kongresis-rusuli-kavshirebi

139 მითების დეტექტორი, 4 თებერვალი, 2021. დუგინი: „ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ იძულებულები ვხდებით“... http://mythdetector.ge/ka/myth/dugini-zogiert-shemtkhvevashi-chven-idzulebulebi-vkhdebit

140 On.ge, 16 ივნისი 2019. ლევან ვასაძე სახალხო რაზმების ორგანიზებასა და ლეგიონის შექმნას აანონსებს https://bit.ly/2VkrFly

141 რადიო თავისუფლება, 6 ნომებერი, 2020. „ფეისბუკმა“ წაშალა „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული ანგარიშები და გვერდები https://www.radiotavisupleba.ge/a/30934069.html

142 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwIsX3qmYsntmLmFMyQLSGI[ngq8lR5AhWIuEMAmwiCo4U5oAGzS6g82zMN

143 Civil.ge, 10 მაისი, 2010. „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებულ შვიდ პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა https://old.civil.ge/geo/article.php?id=22700&search=

ქართული იდეა გურამ ფალავანდიშვილის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებასთან“, პრიმაკოვის ცენტრთან და ლევან ვასაძესთან ერთად UNICEF-ის და ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსის წინააღმდეგ გამოდიან, იუვენალურ კანონმდებლობას რუსული პროპაგანდის მსგავსად იუვენალურ ფაშიზმად წარმოაჩენენ, რომელიც ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ არის მიმართული.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული იდეა“ გურამ ფალავანდიშვილთან ერთად მონაწილეობდა. ფალავანდიშვილი, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების დამფუძნებელია, 2013 წლის 4 დეკემბერს დავით ლორთქიფანიძესთან ერთად ანტისემიტური ქმედებების გამო წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს, როცა ხანუქას დღესასწაულზე მათ პლაკატები ჩამოხიეს და ღონისძიებისთვის გათვალისწინებული ტრიბუნა დააზიანეს. დაკავებულები მოგვიანებით 100-100 ლარიანი ჯარიმით გაათავისუფლეს[144]. 2019 წელს ფალავანდიშვილი ლევან ვასაძის ინიცირებული „სახალხო ლეგიონის“ ფორმირებაშიც მონაწილეობდა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დაკავებულიც იყო[145].

ასევე იკვეთება „ქართული იდეის“ კავშირი „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრთან“, „ევრაზიულ ინსტიტუტთან“, „საქართველო და მსოფლიოს“ გამომცემელ „ისტორიულ მემკვიდრეობასთან“, რაც 2019 წლის აპრილში თბილისში ფონდ „რუსული სამყაროს“ პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზეც „ფაშისტური იდეოლოგიის რეანიმაცია“ (“Реанимации Фашистской Идеологии”) გამოიკვეთა[146].

## პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი

პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი 2013 წელს რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით დაფუძნებული გორჩაკოვის ფონდისა და ქართული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ არის შექმნილი. ცენტრი რუსული ენის კურსებს და სხვადასხვა ღონისძიებებს აფინანსებს. ესტონეთის საგარეო დაზვერვის 2019 წლის ანგარიშში[147] კრემლთან დაკავშირებულ სუბიექტებს შორის „ქართულ მარშთან“ ერთად პრიმაკოვის ცენტრიც არის მოხსენიებული.

2018 წლის მარტიდან პრიმაკოვის ცენტრის დირექტორი პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ ყოფილი წევრი, დიმიტრი ლორთქიფანიძეა. ლორთქიფანიძე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ კანდიდატად მონაწილეობდა.

## ევრაზიული ინსტიტუტი

ევრაზიული ინსტიტუტი 2009 წლის 22 სექტემბერს დაფუძნდა. ორგანიზაციის ერთ-ერთი პარტნიორი „ლევ გუმილევის ცენტრია“, რომელიც „ევრაზიული ცენტრის“ მიერ მოსკოვში 2011 წელს დაფუძნდა. ცენტრი ეთ-

144 ტაბულა, 6 დეკემბერი, 2013. TDI: 4 დეკემბრის ფაქტი საეკლესიო ანტისემიტიზმის პირველი ღია გამოვლინებაა https://tabula.ge/ge/news/558698-tdi-4-dekembris-pakti-saeklesio-antisemitizmis
145 რადიო თავისუფლება, 20 ივნისი, 2019. გურამ ფალავანდიშვილი დააკავეს https://www.radiotavisupleba.ge/a/30010014.html https://www.radiotavisupleba.ge/a/30010014.html
146 მედიის განვითარების ფონდი, 2019. რუსული სამყარო საქართველოში http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/117
147 International Security and Estonia 2019 გვ 51 https://www.valisluureamet.ee/pdf/raport-2020-en.pdf

ნოკონფლიქტების გადაჭრის გზად „ევრაზიანიზმის“ იდეის პოპულარიზაციას ასახელებს. გულბაათ რცხილაძე აქტიურად არის ჩართული კრემლის პროპაგანდისტული პროექტის „უკვდავი პოლკის“ მსვლელობის საქართველოში ორგანიზების საქმეში[148]. მისი სტატიები ასევე აქტიურად იბეჭდება კრემლისტურ გამოცემაში „საქართველო და მსოფლიო“, რომელიც თავის მხრივ, რუსეთთან დაკავშირებულ გამოცემა “News Front საქართველოს” ქართულ ვერსიას, პატრიოტი ტვ-ს, პრიმაკოვის ცენტრის გამოცემა „პოლიტიკანოს“ უკავშირდება[149].

## ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირი

ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირის ხელმძღვანელი გიორგი ირემაძე, რომელიც ამავე დროს Patrioti TV-ის დამფუძნებელია, გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ გვერდზე ხშირად გვხვდება. ირემაძე აქტიურად არის ჩართული ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ კამპანიაში[150] და ამ მიზნით თანამშრომლობს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ტელეარხ „ზვეზდასთან“, ასევე კრემლთან დაახლოებულ ბულგარელ ჟურნალისტს დილიანა გაიტანჯიევასთან[151], რომელმაც ჰესბოლასთან დაკავშირებულ ტელეკომპანია Al-Mayadeen-სთვის ლუგარის ლაბორატორიაზე სპეციალური მადისკრედიტირებელი ფილმი მოამზადა და ამავე კამპანიაში ჩართულ ამერიკელ ჟურნალისტ ჯეფრი სილვერმანთან[152]. ირემაძე „ქართული მარშის“ გარდა, სხვა რადიკალურ ჯგუფებსაც უჭერს მხარს. ის მოსახლეობას 2021 წლის თბილისი პრაიდის წინააღმდეგ გამოსვლისკენ მოუწოდებდა და ამ თემაზე ალტ-ინფოს მოწოდებებსაც აზიარებდა.

## მედიები

პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული ტვ „ობიექტივის“ გარდა, რომელიც პარტიული ხაზის შესაბამისს სარედაქციო პოლიტიკას ატარებს, გამოიკვეთა რამდენიმე გამოცემა, რომელიც ღიად რუსეთის მხარდამჭერი ან ანტიდასავლური პოზიიციით გამოირჩევა.

**საქართველო და მსოფლიო** – გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ და მისი ონლაინ გამოცემის www.geworld.ge დამფუძნებელია შპს ისტორიული მემკვიდრეობა. შპს ისტორიული მემკვიდრეობა დააარსა ტარას გაგნიძემ. 2009 წელს ისტორიული მემკვიდრეობის დაფუძნებას იმჟამინდელი რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საჯაროდ მიესალმა. ისტორიული მემკვიდრეობის საზოგადოებრივი საბჭოს ერთ-ერთი წევრია ალექსანდრე ჭაჭია[153]. 2014 წლის 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის, სამეცნიერო და კულტურული კავშირების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის ჭაჭია სა-

148 მედიის განვითარების ფონდი, 2019. რუსული სამყარო საქართველოში http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/117
149 მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, 2019. News-Front Georgia – კრემლის ახალი საინფორმაციო ფრონტი საქართველოში http://mythdetector.ge/ka/myth/news-front-georgia-kremlis-akhali-sainpormatsio-pronti-sakartveloshi
150 მედიის განვითარების ფონდი (2021) ინფოდემია საქართველოში. http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/201
151 პროფილი http://mythdetector.ge/ka/profile/gaitanjieva-diliana
152 http://mythdetector.ge/ka/profile/silvermani-jepri
153 პროფილი https://www.mythdetector.ge/ka/profile/chachia-aleksandre

პატიო ორდენით დააჯილდოვა[154]. ჭაჭია კრემლისტური ჯგუფების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია, რომელიც დასავლური ღირებულებების მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან შეუთავსებლობის ნარატივს ავითარებს.

„საქართველო და მსოფლიო" კრემლის პოლიტიკის მხარდამჭერ სხვადასხვა აქტორებს აერთიანებს[155]: ევრაზიის ინსტიტუტს, ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირს, პრიმაკოვის რუსულ-ქართულ ცენტრს, ნიუს-ფრანტს, ონლაინ გამოცემა და ფეისბუკ გვერდ „პოლიტიკანოს" პროექტის ავტორს გიორგი მდივანს, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს" პლატფორმაზე როგორც ავტორად, ასევე რესპონდენტად ხშირად გვევლინება. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ პრიმაკოვის ცენტრის „პოლიტიკანოს" წამყვანი ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ონლაინ პლატფორმა „სივრცეებშიც" გვხვდება ავტორად, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებასაც იღებს და ჰიბრიდული (სახელისუფლებო-კრემლისტური) სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა[156].

## დიაგრამა 18. რუსული წყაროები




154 http://static.kremlin.ru/media/acts/files/0001201402130018.pdf
155 მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, 2019. News-Front Georgia – კრემლის ახალი საინფორმაციო ფრონტი საქართველოში http://mythdetector.ge/ka/myth/news-front-georgia-kremlis-akhali-sainpormatsio-pronti-sakartveloshi
156 მითების დეტექტორი, 2 ივლისი, 2021. პრორუსული და სახელისუფლებო ექსპერტების „სივრცეები" დაფინანსებულია ბიუჯეტიდან http://mythdetector.ge/ka/myth/prorusuli-da-sakhelisuplebo-ekspertebis-sivrtseebi-dapinansebulia-biujetidan

როგორც ქვემოთმოცემულ ინფოგრაფიკაზე ჩანს, „საქართველო და მსოფლიო“ მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან წყაროდ ყველაზე ხშირად რუსულენოვან პროპაგანდისტულ პლატფორმებს ეყრდნობა. ყველაზე მეტად (23) კი გამოცემის გვერდებზე სტრატეგიული კულტურის ფონდის (Fondsk.ru[157]) მასალებს ვხვდებით. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიშის[158] თანახმად, სტრატეგიული კულტურის ფონდს საგარეო დაზვერვის სამსახური ხელმძღვანელობს და მჭიდრო კავშირშია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. 2021 წლის აპრილში აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტმა „სტრატეგიული კულტურის ფონდს“ სანქციები დააკისრა[159]. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე ხშირად ეყრდნობა რუსეთის ხელისუფლების დაფუძნებულ РИА Новости-ს (22), პროპაგანდისტულ პლატფორმებს Взгляд-ი (vz.ru) (18), Newsfront-ი (12), EADaily-ი (6), Russia Today, topwar.ru, Topcor.ru, tsargrad.tv, regnum.ru  და სხვები. აღსანიშნავია, რომ Царьград ТВ-ი, რომელსაც იუვენალურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ადრეც ხშირად ეყრდნობოდა, რუსი ოლიგარქის კონსტანტინე მალოფეევის დაფუძნებულია. მალოფეევი რუსეთის იმპერიის აღდგენის იდეას უჭერს მხარს და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის პროცესს აფინანსებდა, რის გამოც აშშ-მა და ევროკავშირმა იგი სანქცირებული პირების სიაში შეიყვანეს.  2015-2016 წლებში, ტელეარხის მთავარი რედაქტორის პოსტს „ევრაზიონისტული მოძრაობის“ ლიდერი და რუსეთის აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგი ალექსანდრე დუგინი იკავებდა.

**საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმი“** 2010 წელს დაარსდა და მისი მფლობელი და რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. „საქინფორმი“ და „საქართველო და მსოფლიო“ ხშირად ავრცელებენ ერთმანეთის სტატიებს. თავად ხიდირბეგიშვილს კი ხშირად ციტირებს ანტიდასავლური გაზეთი ასავალ-დასავალი. როგორც ზემოთმოცემულ დიაგრამაზე ჩანს, „საქინფორმი“ ხშირად აქვეყნებს კრემლის პროპაგანდისტული მედიების Newsfront (30), Sputnik (26), ria.ru და regnum.ru-ს მასალებს.

**მედია-კავშირი „ობიექტივი“** 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. „ობიექტივის“ მაუწყებლობა სატელევიზიო სიხშირის გარდა, რადიო სიხშირით და ინტერნეტით ხორციელდება. ტელეკომპანია თურქოფობიულ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. ტვ „ობიექტივის“ გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი ვალერი კვარაცხელია ამავდროულად კრემლთან დაკავშირებული ონლაინ და ბეჭდური გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ ავტორი, ასევე ნეიტრალური სოციალისტური საქართველოს ლიდერია. ტვ „ობიეიქტივში“ გადაცემა მიჰყავდა ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელს ნიკოლოზ მჟავანაძეს, რომელიც ქსენოფობიური

[157] პროფილი
http://mythdetector.ge/ka/profile/strategiuli-kulturis-pondi-fond-strategiceskoi-kultury-fondskru

[158] US State Department, GEC Special Report: August 2020 Pillars of Russia’s Disinformation and Propaganda Ecosystem https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/08/Pillars-of-Russia%E2%80%99s-Disinformation-and-Propaganda-Ecosystem_08-04-20.pdf

[159] US Department of Treasury. 15 April, 2021. Treasury Escalates Sanctions Against the Russian Government’s Attempts to Influence U.S. Elections https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0126

და ანტიდასავლური განცხადებებით გამოირჩევა და იდენტურ სარედაქციო პოლიტიკას ახლადდაფუძნებულ ონლაინ გამოცემა „ტაონიუსშიც“ ახორციელებს.

**ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“** 1992 წელს დაარსდა. გამოცემის 100%-იანი წილის მფლობელი და რედაქტორი კერძო პირი ლაშა ნადარეიშვილია. გამოცემა ღიად ქსენოფობიურ და ანტდასავლურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. გაზეთი არ უთითებს თავის ტირაჟს. მის გვერდებზე რუბრიკით „ხმა მოსკოვიდან“ ხშირად ფიგურირებს მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენი, რუს და ქართველ ხალხთა ერთობის ფონდის ხელმძღვანელი ვლადიმერ ხომერიკი.

# დანართი. საგარეო გავლენის აქტორები

